პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი

ფოთი

ფასი ოქტ. 8.

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 17 ყოველ კვირეული ორგანო. № 17

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1.

(ფოთ—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6 90.

რედაქტია ღია: ყოველ დღე დილის 9 ს.—2 საათამდე.

რედაქტორის ნახვა შეიძლება 12 ს.—2 საათამდე.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 68

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული წესდება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის **სახალხო ბანკისა.**

2. სახალხო ბანკის მოქმედება დაწყებულ იქნეს ამა 1921 წლის სექტემბრის 1-დან.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. ოდივანი.**

მიწადმოქ. სახ. კომისარი **ფ. მახარაძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. აგვისტოს 26.

ტფილისი.—სასახლე.

დამატება 68 №-რის დეკრეტისა.

წესდება

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო ბანკისა.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო ბანკს მიზნად აქვს:

ა) აღსრულება სახელმწიფო ფინანსიური ოპერაციებისა;

ბ) გასწორება ანგარიშისა საგარეო ვაჭრობისა და სხვა საოცხოეთო ოპერაციებისა;

გ) ვაადვილება და მოწესრიგება ფულის ტრიალისა;

დ) ფინანსიურად უზრუნველყოფა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და ქალაქისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა.

2. სახალხო ბანკის მოქმედების დაწყებისას რესპუბლიკის მთავრობა აძლევს ბანკს ძირითად თანხად ათ მილიარდ მან. ფულის ნიშნებით.

3. სახალხო ბანკის ყოველი ვალდებულების პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკა მთელი თავისი ავლა-დიდებით.

4. ბანკის ოპერაციებისაგან შემოსული წმინდა მოგება და აგრეთვე მოსალოდნელი ზარალი ჩაირიცხება რესპუბლიკის ავლა დიდების ანგარიშში.

5. ბანკის თანხები და ის ფული, რომელიც მიუბარებიათ მისთვის კერძო პირთ, დაწესებულებათ და საზოგადოებათ,—შეუძლებელია მოჰხმარდეს საერთო სახელმწიფო ხარჯებს.

6. თანხები, რომელიც ბანკისათვის მიუბარებიათ, შეუძლებელია შეკრულ ან სეკვესტრ-დადებულ იქნეს გარდა იმ შემთხვევისა, რაც გათვალისწინებულია რესპუბლიკის კანონებით.

7. ბანკის ოპერაციების წესი, ამა წესდების სათანადო მუხლთა განმარტებისა და შევსებისათვის, აგრეთვე ბანკის დაწესებულებათა საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებისა და ანგარიშწყობის წესრიგი დამტკიცებულ უნდა იქნეს ბანკის საბჭოს მიერ.

8. ბანკსა აქვს ბეჭედი, რომელზედაც ამოჭრილია რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბი და წარწერილია: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო ბანკი".

ბანკის ოპერაციები.

9. სახალხო ბანკს ნება აქვს შემდეგი ოპერაციები აწარმოოს:

ა) გაანაღდოს თამასუქები და სხვა ვადიანი ვალდებულებანი;

ბ) გასცეს სესხი;

გ) მიიღოს ანაბარი ფულად და შესანახად;

დ) იყიდოს და გაჰყიდოს თამასუქები და სხვა საფასური;

ე) გადაგზავნოს ფული და შეასრულოს სხვა კომისიო ოპერაცია.

თამასუქის და სხვა ვადიანი ვალდებულების განაღდება.

10) ბანკი მიიღებს გასანაღდებლად თამასუქებს და ყოველ სხვაგვარ ვადიან ვალდებულებას, აგრეთვე მოწმობას, რომელიც ადასტურებს, რომ სის პატრონს ერგება ფული საბჭოთა დაწესებულებათაგან და რაც ბანკს უდაოდ მიაჩნია,—კერძო პირთაგან, საეკონომიო და სამრეწველო ფირმათაგან და საკრედიტო, საკოოპერატივო და საზოგადო დაწესებულებათაგან, რომელთაც კრედიტი აქვთ გახსნილი ამა წესდების სათანადო მუხლთა თანახმად.

11. ბანკი მიიღებს გასანაღდებლად თამასუქებს—მარტივს და შეპირებულს, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ გაცემულს, თუ იმ თამასუქის განაღდება დანიშნულია ერთ-ერთ იმ ადგილას, სადაც არსებობს ბანკის დაწესებულებანი, ან სადაც იმყოფებიან მისი კორესპონდენტები.

12. გასანაღდებლად მიღებული თამასუქები უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა ნაკლებ ორი საიმედო კაცის ხელისმოწერით.

13. თამასუქი და ვალდებულება მიიღება გასანაღდებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალის გადახდის ვადამდე დარჩენილია არა უმეტეს სამი თვისა, გარდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისა, რომლის ვადაც განსაზღვრული უნდა იქნეს ყოველ ცალკე შემთხვევაში მათი სპეციალური მიზნისა და დანიშნულების მიხედვით.

14. განაღდების პროცენტის რაოდენობას აწესებს ბანკის საბჭო.

15. უკეთუ ბანკში განაღდებული თამასუქით ვალის გადამხდელი კოტრი აღმოჩნდა ვადის გასვლამდე, ბანკი აუწყებს ამას თამასუქის წარმომდგენს და იგი ვალდებულია სამის დღის განმავლობაში ან გამოისყიდოს თამასუქი გაკოტრებულის ვექსილის მიმცემისა, ან და იმავე ადგილას სხვა საიმედო გირაო წარადგინოს.

16. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საბჭოს ნებართვით, შეიძლება თამასუქით გაცემულ ვალის გადადება, ან ნაწილობრივ შეტანა ბანკში.

სესხი საქონლისა და საქონლის საბუთების დაგირავებით.

17. სახალხო ბანკი გასცემს სესხს ისეთი საქონლის დაგირავებით, რომელიც ადვილად და მალე არ ფუჭდება, აგრეთვე ისეთი საქონლის საბუთების დაგირავებით, რომელიც საწყობში ან გზაშია.

18. სესხი გაიცემა მხოლოდ იმ საქონლის დაგირავებით, რომელიც ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხაშია ჩართული, საბჭო ამტკიცებს აგრეთვე იმ დაწესებულებათა და წარმოებათა სიას, რომლის საქონლის საბუთებით შესაძლოა მიღებულ იქნეს სესხის უზრუნველსაყოფელად.

19. სესხი საქონლის დაგირავებით, გარდა მეტალისა, აგრეთვე საქონლის საწყობთა მოწმოგის დაგირავებით შეიძლება გაიცეს ექვს თვეზე არა უმეტეს ვადითა; სესხი სანაოსნო და სატრანსპორტო წარმოებათა კონოსამენტებისა და კვიტანციების დაგირავებით, აგრეთვე რკინის გზის ტვირთბარათის ასლების დაგირავებით—სამ თვეზე არა უმეტეს ვადითა, ხოლო სესხი მეტალის დაგირავებით გაიცემა ცხრა თვეზე არა უმეტეს ვადითა.

შენიშვნა: ბანკის სათანადო დაწესებულებათა ნებართვით შესაძლოა ვადა საქონლის დაგირავებით გაცემულის სესხისა გადაიდოს ყოველ ცალკე შემთხვევაში სამ თვეზე არა უმეტესად.

20. სესხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს $^2/_3$ გირაოს შეფასებისას, რომელსაც გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტი განსაზღვრავს. ამ ფარგლებში თვითეულ სესხის რაოდენობა უნდა გადაწყვეტილ იქნეს საქონლის ღირსება-თვისების და მისი დაცვის ვითარებისამებრ.

21. სესხად გაცემული ფულის პროცენტის რაოდენობა უნდა გადასწყვიტოს ბანკის საბჭომ. პროცენტი უნდა გადახდევინებულ იქნეს თვით სესხის გაცემისათანავე.

22. ბანკს ნება აქვს მსესხებელსაც დაუტოვოს შესანახად ან სარგებლობისათვის მისგან მისი ვალდებულების უზრუნველსაყოფად მიღებული მოძრავი ქონება—იმ პირობით კი, რომ აღნიშნული ქონების ნუსხა შედგენილ იქნეს სამი მოწმისა და ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანადასწრებით, ხოლო ქონებაზე დასმულ უნდა იქნეს თვალსაჩინო ნიშანი, გირაოდ მიღების მაჩვენებელი (ბეჭედი, პლომბი, დაღი და სხვ.) თუ ეს, ქონების თვისების მიხედვით, შესაძლო იქნება.

გირაოს გადამალვისა და გასხვისებისათვის ვალის ვადახდამდე მსესხებელი პასუხისგებაში მიიცე-

მა, როგორც შესანახად მიბარებული ქონების გამფლანგველი.

23. დასაგირავებლად წარმოდგენილი საქონელი, რომელიც შეიძლება ცეცხლისაგან დაზიანდეს, უნდა დაზღვეულ იქნეს ცეცხლისაგან ისე, რომ ჯამი დაზღვევისა ათის პროცენტით მაინც აღემატებოდეს სესხის რაოდენობას და დაზღვევის ვადაც ყოველ შემთხვევაში ერთის თვით მეტი იყოს, ვიდრე სესხის ვადაა, იმ პირობით, რომ პოლისი ბანკში ინახებოდეს და იმ ბინის ქირაც, სადაც საქონელი აწყვია, ერთის თვით მაინც მეტი იყოს გადახდილი, ვიდრე ის ვადაა, რა ვადითაც საქონელია დაგირავებული. ამას გარდა, როცა სესხი გაიცემა სანაოსნო და სატრანსპორტო საზოგადოებათა კონოსამენტებისა და კვიტანციების დაგირავებით, ის საქონელი, რომლისთვის-ც ეს საბუთების ქალალდებია მიცემული, უნდა დაზღვეულ იყოს იმდენადვე და იმ ვადითვე სხვაგვარ შემთხვევისაგანაც.

24, ბანკს ნება აქვს თვით დაიზღვიოს გირაოდ მიღებული საქონელი და სხვა საფასური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მისთვის გადაცემული განსაკუთრებული ფონდის ანგარიშში.

შენიშვნა: დაზღვევის ინსტრუქციას შეიმუშავებს გამგეობა და დაამტკიცებს ბანკის საბჭო.

25. თუ დაგირავებული საქონელი გაფუჭდა, ან თუ საქონლის ფასმა დაიწია ათის პროცენტით ან მეტად, ვიდრე შეფასებული იყო და მიღებული გირაოდ, აგრეთვე თუ ის საქონელი, რომელიც უზრუნველჰყოფს სესხს, დაიკარგა, მსესხებელი, ბანკის მოთხოვნილებისამებრ, მოვალეა შესაბამი ნაწილი გადაიხადოს ან დამატებითი გირაო წარადგინოს, უკეთუ მსესხებელმა ბანკის მოთხოვნილება არ შეასრულა ექვს დღეში გამოცხადების დღიდან, — სესხად აღებული ფული ვადის გასვლამდე გადაჰხდება.

26. სესხად აღებული ფული შეიძლება ვადამდე გადახდილ იქნეს მთლად, ან ნაწილ-ნაწილ და თან განთავისუფლდეს გირაოდ მიღებული საქონელი, ბანკის შეხედულებისამებრ. ბანკი დაუჭერს მსესხებელს პროცენტს სესხის ფაქტიური სარგებლობის დროისას, ხოლო დანარჩენ ვადის პროცენტს უკანვე დაუბრუნებს.

27. მსესხებელს ნება აქვს დაგირავებული საქონელი გაჰყიდოს მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯერ ვალი გადაიხადოს, ან ვალის გადამხდელად მყიდველი შეიპიროს, თუ ბანკი თანახმა გაუხდება.

28. ბანკის მიერ გირაოდ მიღებული საქონელი, საქონლის საბუთები და სხვა უზრუნველმყოფი რამ არ შეიძლება შეკრულ ან სეკვესტრ-დადებულ იქნეს არც კერძო და არც ხაზინის ვალისათვის, ვიდრე ბანკისაგან მიღებული სესხი გადახდილ არ იქნება. აგრეთვე შეუძლებელია მათი გადარიცხვა მსესხებლის საკონკურსო მასად, ვიდრე იგი სრულიად არ გაუსწორებს ბანკს ანგარიშს — მიღებული სესხისა, პროცენტებისა, სადაზღვევისა და სხვ. ხარჯების გადახდით. — სასამართლოს არავითარ დადგენილებას არ შეუძლიან შეაჩეროს ბანკის მიერ იმ გირაოთა გაყიდვა, რომლის უზრუნველყოფითაც გაცემულია სესხი.

29. უკეთუ მსესხებელი უპირული გამოდგა, დაგირავებული საქონელი, ექვსის საშელავათო დღის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა ვალი გადახდილი უნდა ყოფილიყო, ინიშნება საჯარო გასასყიდად, რაც შემოვა, იმ ფულიდან ბანკი აიღებს სესხად გაცემულს, სარგებელს დღემდე საქონლის გაყიდვისა და სხვა ყოველ თავის ხარჯს, ამ საქმისათვის გაწეულს, ხოლო რაც გადარჩება, გირაოს პატრონს დაუბრუნებს.

კრედიტის გადაწყვეტა სპეციალური სახელდახელო ანგარიშით.

30. სახალხო ბანკს ნება აქვს გადაუწყვიტოს კრედიტი მსურველს სპეციალური სახელდახელო ანგარიშით ისეთის გირაოთი, რომლის მიღება სესხის ვადით გასაცემად, აგრეთვე ისეთ თამასუქის დაგირავებით, რომელიც აკმაყოფილებს მისი განაღდებისათვის საჭირო მოთხოვნილებას.

31. ხსენებული კრედიტი შეიძლება მიეცეს მსურველს იმ პირობით, რომ აღებული სესხი ან დაუყოვნებლივ იქნეს გადახდილი, ბანკის პირველ მოთხოვნილებისამებრ, ან შემდეგ, იმ ვადაზე, რომელიც წინდაწინვე დაენიშნება.

მიღება ანაბარისა.

ანაბარი ფულად:

32. სახალხო ბანკი მიიღებს ფულად ანაბარს: 1) სახელდახელო ანგარიშით; 2) უვადოდ და 3) ვადით. ანაბარი მიიღება საბჭოთა, საზოგადოებრივ და სხვა დაწესებულებათაგან, აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათაგან და კერძო პირთაგან.

33. ანაბარი ფულად მიიღება ბანკის საბჭოს მიერ განსაზღვრული პირობით; თუ პირობა ვადიან და უვადო ანაბრის შესახებ შეცვლილ იქნა, ბანკი მოვალეა გამოაცხადოს ერთი თვით ადრე. ვადიან ანაბარისთვის პირობის შეცვლა არ შეიძლება, ვიდრე ის ვადა არ გასულა, რა ვადითაც მიღებულ ყოფილა ანაბარი.

34. ანაბარის პატრონი, რომელსაც სახელდახელო ანგარიში აქვს ბანკში, თავისუფლად სარგებლობს ამ ანგარიშში ჩარიცხულ ფულს განსაკუთრებული განკარგულებისა და ჩეკის საშუალებით. წარედგინება რა ანაბარის პატრონის მიერ ხელმოწერილი ჩეკი, ბანკი დაუყოვნებლივ აძლევს ჩეკის წარმდგენელს ფულს, ჭეშმარიტ ფულს ანაბარის პატრონის განკარგულებისამებრ და სხ.)

35. ის საბუთის ქალალდი, რომელსაც ბანკი აძლევს როგორც ვადიან, ისე უვადო ანაბარის მიღებისათვის, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელო-

ბიანი და შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გადაცემა აღნიშნულ იქნება ბანკის დაფთრებში.

36. საბუთი უვადო და ვადიან ანაბარისა შესაძლოა მიღებულ იქნეს გირაოდ საბჭოთა დაწესებულებასთან ხელშეკრულობის უზრუნველ საყოფელად სრულ იმ ფასად, რაც შიგ არის აღნიშნული.

37. ვინიცობაა, თუ დაიკარგა ანაბარის საბუთი, ბანკი აძლევს დამკარგველს ა'ლს ანაბარის საბუთისას, ანაბარის პატრონის მიერ დაკარგვის შესახებ სამჯერ გაზეთში გამოცხადებას შემდეგ. იმავე დროს ბანკი აცხადებს ანაბარის პატრონის ხარჯით დაკარგულ საბუთებს გაუქმებულად.

38. ანაბარი შეიძლება მიეცეს ბანკისაგან თვით ანაბარის პატრონს, მის კანონიერ მემკვიდრეებს, ან რწმუნებულს, როცა წარმოადგენენ საბუთს, რომელიც ადასტურებს იმათ უფლებას ანაბარის მიღებისას. ანაბარი, რომელიც მცირე-წლოვანთ ეკუთვნით, მიეცემა პატრონს იმ წესით, რაც ამ საგნისათვის სპეციალურ კანონდებულებით იქნება დადგენილი.

ანაბარი შესანახად.

39. სახალხო ბანკი მიიღებს შესანახად: 1) ფასიან ქაღალდებს; 2) ოქროს, ვერცხლს და ყველა ნივთს და 3) ყოველგვარ საბუთს (დოკუმენტს).

40. ანაბარის შესანახად მიღების საბუთის ქაღალდი ბანკმა უნდა გასცეს პატრონის სახელზე; რაც შეეხება ანაბარის საბუთის ქაღალდის გადაცემას სხვის სახელობაზედ, ასლის მიცემას, თუ ვინიცობაა საბუთის ქაღალდი დაიკარგა და თვით ანაბარის დაბრუნებას, ამ შემთხვევაში უნდა დაცულ იქნეს ის წესი, რომელიც დადგენილია ფულის ანაბარისათვის.

41. თუ ვინიცობაა დავა ატყდა, ან საჩივარი გაიმართა იმის გამო, თუ ვის აქვს უფლება მიიღოს ანაბარი, ბანკი, სათანადო სასამართლოს მოთხოვნილებით, თვით ანაბარს, ან მის საბუთის ქაღალდს უგზავნის სასამართლოს მისდა გასაკარგულებისათვის. ამას გარდა, ბანკს ნება აქვს თუ ვინიცობაა შესაძლებლად ვერ დაინახა მისცეს ანაბარი, ან მისი შემოსავალი იმას, ვინც მოითხოვა, ჩარიცხოს ანაბარი იმ სასამართლოს დეპოზიტად, რომელსაც ექვემდებარება ბანკის სათანადო დაწესებულება.

42. თუ ანაბარის შენახვისათვის გადასახადი შეტანილ არ იქნა, როცა იმის ვადა გავა, ათის წლის განმავლობაში, ანაბარი გასაყიდად დაინიშნება—საჯარო ვაჭრობით. გაყიდვით შემოსული ფული ჩაირიცხება უვადო ანაბარად პატრონის სახელობაზე, იმის გამორიცხვით, რაც ბანკს შენახვისათვის ეკუთვნის და რაც ანაბარის გაყიდვაზე ხარჯად გაუწევია და, თუ საჭიროა, სხვა აუცილებელი გადასახდელისაცა.

43. გასამრჯელოს რაოდენობა ანაბარის შენახვისათვის უნდა დამტკიცებულ იქნეს ბანკის საბჭოს მიერ და გამოცხადდეს საყოველთაოდ.

საფასურის ყიდვა-გაყიდვა.

44. სახალხო ბანკი აწარმოებს თავის დაწესებულებაში და ბირჟაზე, აგრეთვე საზღვარ-გარედ უცხოეთის თამასუქების (ტრატების) და ჩეკების, როგორც მაშინვე გასანაღდებულის, ისე ვადიანების, ყიდვა-გაყიდვას, აგრეთვე თითონაც შეუძლიან გასცეს ასეთი ტრატები და ჩეკები უცხოეთის იმ ფირმების და დაწესებულებათა სახელზე, რომლებიც მის კორესპონდენტებად ითვლებიან. ამ ოპერაციას აწარმოებენ, გამგეობის უახლოესი ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით, ბანკის ის დაწესებულებანი, რომელთაც საბჭოს მიერ ნება აქვთ დართული.

45. საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებისამებრ ბანკი აწარმოებს ოქროსა და ვერცხლის ყიდვას და გაყიდვას როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარედ.

გადაგზავნა ფულისა, საინკასო და სხვა საკომისიო ოპერაცია.

46. სახალხო ბანკი აწარმოებს ფულის გადაგზავნას იმ ადგილთა შორის, სადაც იმყოფებიან მისი დაწესებულებანი, ან კორესპონდენტები, აგრეთვე იძლევა აკრედიტივებს იმაივ ადგილებზე.

47. ბანკი მიიღებს თავის თავზე ფულის ყოველგვარ ანგარიშის საბუთების საინკასოდ გაგზავნას იმ ადგილებში, სადაც არსებობს მისი დაწესებულებანი, ან ჰყავს კორესპონდენტები.

48. ბანკს შეუძლია იკისროს ფირმიერთის ანგარიშების გასწორება, როგორც საბჭოთა დაწესებულებათა, ისე კერძო პირთა და წარმოებათა შორის.

49. ბანკს შეუძლიან ითავოს რწმუნებულთა დავალება და აწარმოოს იმათის ხარჯით საქმე ყოველგვარ გასაცემ და მისაღებ ფულისა, მხოლოდ იმ რაოდენობის მიხედვით, რაც გასწორება დავალების აღსრულების დროს ბანკში რწმუნებულის ანგარიშით ნაქონი თანხა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ბანკის გამგეობის ერთხმივი დადგენილებით შეიძლება საბჭოთა დაწესებულებათა მაგივრ ბანკმა გაიღოს იმაზე მეტი, რაც დაწესებულებათ ნაღდათ მოეპოვებათ ბანკში. ამ მიზნით მათ გახსნებათ საბიუჯეტო კრედიტის ფარგლებში ეგრედწოდებული საბლანკო კრედიტი, რომლის რაოდენობას და ვადას ყოველ ცალკე შემთხვევისათვის განსაზღვრავს ბანკის გამგეობა. ამასთანავე ამგვარ კრედიტის საერთო რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ბანკის სათადარიგო თანხის $^1/_3$ ნაწილს.

50 ბანკი აწარმოებს საქონლისა და სხვა საფასურის ყიდვასა და გაყიდვას რწმუნებულთა ხარჯით და აგრეთვე სხვა საკომისიო ოპერაციასაც.

შენიშვნა: საკომისიო გასამრჯელო ფულის გადაგზავნისა, საინკასო და სხვა ოპერაციებ'სათვის განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ.

სახელმწიფოს საფინანსო ოპერაციები.

51, სახელმწიფოს ნაღდი ფული უსარგებლოდ ჩაირიცხება სახალხო ბანკში სახელდახელო ანგარიშით.

შენიშვნა: საბჭოთა ყოველი დაწესებულებისათვის სავალდებულოა თავისი ნაღდი თანხები, გარდა იმისა, რაც მისთვისაუ ილებლად საჭიროა უახლოეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შეინახოს სახალხო ბანკში.

52. სახალხო ბანკს დაევალება აწარმოოს სახელმწიფო ხაზინის ხარჯით შემდეგი ოპერაციები:

1) მიღება დამმზადებელ ექსპედიციისაგან სახელმწიფო ნიშნებისა და შენახვა მეტალის ფულის ნიშნებისა, აგრეთვე იმ ქაღალდის ფულებისა და საანგარიშო ნიშნებისა, რომელიც შეადგენს დასახურდავებელ ფონდს.

2) შენახვა სახელმწიფო საფასური ნიკოებისა: ძვირფასი მეტალისა, უცხო ფერადი ქვებისა, მათგან ნაკეთობისა და სხვ.

3) საბჭოთა დაწესებულებების ურთიერთშორის ანგარიშების გასწორება.

4) ფინანსიურად უზრუნველყოფა სახელმწიფო მრეწველობისა და აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებათა საქონლის შესყიდვისა, დამზადებისა და სხვ. დარგში. აწარმოოს სახალხო საქეურნეო ოპერაციები და, კერძოდ, სასუსათო, მიწადმოქმედებისა და საგარეო ვაჭრობის კომისარიატთა ოპერაციები.

5) ფინანსიურად უზრუნველყოფა კოოპერატიულ ორგანიზაციებისა, იმ წესით და საფუძვლით, როგორც მოითხოვს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებანი,—მათთვის დახმარების აღმოსაჩენად საწარმოო და შესყიდვის დარგში და აგრეთვე პირველ აუცილებელი საჭიროების საგნებისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, ძანქანებისა და სხვა იარაღების გასაღებაში,

6) ერთად თავის მოყრა ყველა იმ უცხო ვალიუტისა, რომელიც აქვთ რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულებათ, როგორ კშინ—რესპუბლიკის ფარგლებში, ისე უცხოეთში.

შენიშვნა: ყოველი თანხა, რომელსაც საბჭოთა დაწესებულება მიიღებს საზღვარგარეთ, ჩაირიცხება სახალხო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშით უცხოეთის სათანადო საკრედიტო დაწესებულებაში. აგრეთვე ფულის ყოველგვარი გაცემა საუცხოეთო ვალიუტით საბჭოთა დაწესებულებათა ანგარიშში სწარმოებს სახალხო ბანკის საშუალებით მისი განკარგულებითა და ჩეკებით.

7) სისრულეში მოყვანა და ცხოვრებაში გატარება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყველა საფინანსო-საკრედიტო ღონისძიებათა.

შენიშვნა: სახელმწიფო ხაზინის სახალხო ბანკთან ანგარიშების გასწორების წესრიგი განისაზღვრება განსაკუთრებულის წესით—ფინანსთა სახალხო კომისარიატის საკასო დაწესებულებათა საანკო ოპერაციების შესახებ, რომელი წესიც დამტკიცებულ უნდა იქნეს ბანკის საბჭოს მიერ, ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

სახალხო ბანკის გამგეობის ორგანოები.

53. ბანკის საქმეთა გამგეობა ჩაბარებული აქვს გამგეობას და საბჭოს.

54. ბანკის გამგეობას შეადგენს: მმართველი, მმართველის ამხანაგი და გამგეობის ორი წევრი.

შენიშვნა: გამგეობის წევრნი აირჩევიან სამის წლის ვადით. გამგეობის წევრთა პირველი შედგენილობის ნაწილი გაიცვლება ურთიერთის თანხმობით ან კენჭის ყრით—პირველი წლის დასასრულს. მეორე წლის დასასრულს—მეორე ნაწილი, ხოლო მესამე წელს—მმართველი. შემდეგისათვის დადგენილ უნდა იქნეს განუწყვეტელი წესი უპირატესობისა საარჩევნო ვადის ძიებედვით.

55. ბანკის მმართველს პირდაპირ რესპუბლიკის მთავრობა აირჩევს. მმართველის ამხანაგს და გამგეობის წევრთ აირჩევს ბანკის საბჭო მმართველის მიერ წარდგენილი კანდიდატებისაგან და ამტკიცებს რესპუბლიკის მთავრობა.

56. გამგეობას ეკუთვნის აღმასრულებელი უფლება ბანკის საქმეებში იმდენად, რამდენადაც ეს საქმეები დაქვემდებარებული არა აქვს ბანკის სხვა და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას; განკარგულების უფლება ეკუთვნის გამგეობას იმდენად, რამდენადაც იგი არ ექვემდებარება საბჭოს გადაწყვეტილებას.

57. კერძოდ გამგეობის მოვალეობაა:

1) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ბანკის ოპერაციებს და საზოგადოდ თვალყური ადევნოს საქმის წარმოებას და ანგარიშწარმოებას; ბანკის წესდების მოთხოვნილებათა აღსრულებას და ძის კასის და საფასურთა დაცვას;

2) გაამწესოს ბანკის მოხელენი და მოახდინოს ხოლმე განკარგულებანი საზოგადოდ ბანკის მოხელეების შესახებ;

3) დანიშნოს რევიზია და წარავლინოს მოხელენი სამსახურის საქმეთათვის სხვა და სხვა ადგილას;

4) განაგოს ხარჯის საქმე კრედიტების გადადატან-გადმოტანის უფლებით ბანკის წლიურ აღრიცხვის ფარგლებში;

5) შეადგინოს და წარადგინოს, სადაც ჯერ არს, წლიური აღრიცხვა და ანგარიში ბანკის მოქმედებისა;

6) განაგოს ყოველი ოპერაცია ბანკისა და ამ საქმეში სახელმძღვანელოდ იქონიოს გამგეობის და საბჭოს შეერთებული საკრებულოს დადგენილებანი იმის შესახებ, თუ რამდენი თანხა უნდა

მოჰხმარდეს ბანკის წესდებით ნებადართულ თვითეულ ოპერაციას იმ ფულიდან, რაც ბანკის განკარგულებაშია;

7) განსაზღვროს—საბჭოსთან ერთად—ის საქონელი და ვალდებულებანი, რომელთა დაგირავებით შეიძლება სესხის გაცემა;

8) განსაზღვროს—საბჭოსთან ერთად—პროცენტის და საკომისიო სასყიდლის რაოდენობა ყოველი ოპერაციისთვის.

9) განაგოს იმ წესით, რომელსაც თვით შეიმუშავებს, ფინანსთა სახალხო კომისარსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით და საბჭო მიიღებს, ის ოპერაციები, რაც ბანკს დაევალება—აწარმოოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშით, აგრეთვე ოქროს ყიდვის ოპერაციები;

10) განიხილოს წინდაწინვე ბანკის ყველა საქმე, რომელიც ბანკის საბჭოს, ან რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვს;

11) აწარმოოს მიწერ-მოწერა და ურთიერთობა იქონიოს ბანკის სახელით, დასდოს ხელშეკრულებანი ბანკის წესდებით ნებადართულ ფარგლებში, აგრეთვე დაიცვას ბანკის ინტერესები სასამართლოში, რისთვისაც უფლება აქვს გარეშე პირიც მიიწვიოს.

შენიშვნა 1: ბანკის განყოფილებათა მმართველებს, მათ ამხანაგთ, მთავარ ბუჰხალტერს, მთავარ კასირს და ბანკის უფროს ინსპექტორს დაამტკიცებს თანამდებობაზე საბჭო, ბანკის გამგეობის მიერ წარდგენით, ხოლო დანარჩენ მოხელეებს თვით გამგეობა—უშუალოდ.

შენიშვნა 2: ბანკის მმართველს, ბანკის საბჭოსა და გამგეობის წევრთ და ყველა დანარჩენ მოსამსახურეებს არ შეუძლიანთ ისარგებლონ ბანკის კრედიტი, რა სახითაც უნდა იყოს.

58. გამგეობა, როგორც ბანკის წარმომადგენელი, ყველგან მის მაგიერობას ეწევა და ამისათვის საჭირო არ არის მისთვის ცალკე რწმუნების ქაღალდი, ხოლო ბანკის გამგეობის თვითეულ წევრს არ შეუძლიან იმოქმედოს ბანკის სახელით, თუ ამისათვის განსაკუთრებული რწმუნება არ მიუღია გამგეობისაგან.

შენიშვნა: რწმუნების ქაღალდი, რომელსაც ბანკი აძლევს ვისმე, ხელშეკრულება და სიგელები, ხელმოწერილი უნდა იყოს მმართველის მიერ და არა ნაკლებ გამგეობის ორი წევრისა.

59. გამგეობა შეიკრიბება საჭიროებისამებრ, ხოლო კვირაში ერთხელ მაინც უთუოდ. გამგეობის გადაწყვეტილების კანონიერებისათვის საჭიროა კრებას მმართველი და გამგეობის ორი წევრი მაინც დაესწროს. გადაწყვეტილება უნდა დადგენილ იქნეს ხმათა უბრალო უმეტესობით თუ ხმათა რიცხვი თანაბარ ნაწილად გაიყო, თავმჯდომარის ხმას ეძლევა უპირატესობა. გამგეობის თვითეული კრებისათვის უნდა შესდგეს მოკლე ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ კრებაზე დამსწრე წევრნი.

შენიშვნა: ცნობები ბანკის ყველა ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ გამგეობის წევრთა და ყოველ მოსამსახურეთა მიერ საიდუმლოდ დაცულ უნდა იქნეს.

ბ ა ნ კ ი ს ს ა ბ ჭ ო.

60, ბანკის საბჭოში შედის ცამეტი წევრი: საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი და რვა წევრი, რომელთაც დანიშნავს რესპუბლიკის მთავრობა: თითო წარმომადგენელს ფინანსთა, საგარეო ვაჭრობის, სასურსათო, მიწადმოქმედების, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისაგან, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან და იმ პირთაგან, რომელნიც ცნობილნი არიან თავის სპეციალური ცოდნითა და გამოცდილებით; ბანკის მმართველი საქართველოს კოოპერატიულ ცენტრალურ ორგანიზაციისაგან და ადგილობრივი ვაჭრობა-მრეწველობისაგან.

შენიშვნა: ბანკის გამგეობის წევრნი ესწრებიან საბჭოს კრებას სათათბირო ხმით, ხოლო, როდესაც ისეთი საქმეა გადასაწყვეტი, რომლის გადაწყვეტაც ამ წესდების ძალით საბჭოს და გამგეობის შეერთებულ საკრებულოს ექვემდებარება, გამგეობის წევრთ გადამწყვეტი ხმის უფლება ეძლევათ.

61. საბჭოს წევრნი ამოირჩევიან ერთი წლის ვადით. გასული წევრი კვლავ შეიძლება არჩეულ იქნეს.

62. საბჭოს კრება ინიშნება საჭიროებისამებრ (ხოლო თვეში ერთჯერზე არა ნაკლებ) საბჭოს თავმჯდომარის მიერ, ან ბანკის მმართველის ან და საბჭოს სამი წევრის მოთხოვნილებით, საბჭოს გადაწყვეტილებათა კანონიერებისათვის საჭიროა დასწრება საბჭოს თავმჯდომარის და ბანკის მმართველისა (ან მათ მოადგილეთა) და არა ნაკლებ საბჭოს შვიდი წევრისა. საქმე საბჭოში გადასწყდება უბრალო ხმის უმეტესობით, ხოლო თუ ხმები თანაბრად გაიყო, თავმჯდომარის ხმას ეძლევა უპირატესობა.

63. ბანკის საბჭოს მოვალეობაა—საერთოდ თვალყურს ადევნებდეს ბანკის საქმეთა წარმართვას, შეამოწმებდეს ბანკის კასებს, ყოველ საფასურს და ყურადღება იქონიოს საქმის წარმოებისა და ანგარიშწარმოებაზე.

კერძოდ ბანკის საბჭოს ექვემდებარება:

ა. ყოველი ის საქმე, რომლის გამოც მისი დადგენილება მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად:

1) მოსაზრებანი ბანკის წესდების შეცვლისა და შევსებისათვის;

2) განხილვა წლიური ანგარიშის და აღრიცხვისა;

ბ. ის საქმე, რომლის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლებაც აქვს საბჭოს:

1) მოსაზრებანი იმ საკუთარ სახლების ამშენებისა, შეძენისა და გასხვისების შესახებ, რომელიც ბინად აქვს ბანკის დაწესებულებას;

2) დაარსება ბანკის განყოფილებათა;

3) განსაზღვრა რაოდენობის და არჩევა—გამგეობასთან ერთად გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტების წევრთა;

4) განსაზღვრა პროცენტისა და საკომისიო სასყიდლის რაოდენობისა ბანკის ოპერაციებისათვის;

5) ვალის ვადის გადიდება ან ნაწილ-ნაწილად გადახდევინება ბანკის პრეტენზიებით და გირაოს იძულებითი გაყიდვის გადადების გადაწყვეტა;

6) პატიება და ზარალად ჩამოწერა არასაიმედო ვალისა;

7) გადაწყვეტა საბლანკო კრედიტებისა საკორესპონდენტო ანგარიშით;

8) გადაწყვეტა იმ საქმისა, რომელიც შეუთანხმებლობას გამოიწვევს გამგეობის წევრთა შორის;

9) დამტკიცება იმ საქონლის და ვალდებულებათა ნუსხისა, რომელთა დაგირავებაც შეიძლება ბანკში, და იმ სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა სიისა, რომელთა თამასუქიც შესაძლოა განაღდებულ იქნეს სამ თვეზე მეტის ვადით;

10) განსაზღვრა იმ წესისა, რომლითაც მოვლილ უნდა იქნეს ბანკზე დარჩენილი მამულები, ვიდრე გაიყიდებოდეს;

11) დამტკიცება თანამდებობაზე, გამგეობის მიერ წარდგენით, განყოფილებათა მმართველობის, მათ ამხანაგებისა, მთავარ ბუხჰალტერისა, მთავარ კასირისა და ბანკის უფროსი ინსპექტორისა;

12) დამტკიცება განყოფილებათა მოქმედების რაიონისა და ბანკის სააგენტოების ქსელისა:

13) და საერთოდ ყოველი საქმე, რომელსაც ბანკის გამგეობა ან მმართველი საჭიროდ დაინახავს საბჭოს წარუდგინოს განსახილველად.

64. საბჭოს წევრთ ნება აქვთ, საბჭოს დავალებით, დაესწრონენ ხოლმე ბანკის გამგეობის კრებას.

65. საბჭოსა და გამგეობის წევრნი საბჭოში მეცადინეობისათვის მიიღებენ განსაზღვრულ გასამრჯელოს იმისდამიხედვით, თუ საბჭოს რამდენ კრებას დაესწრებიან.

ბანკის დაწესებულებანი.

66. ბანკის დაწესებულებანია: ცენტრალური დაწესებულება, განყოფილებანი და ბანკის სააგენტოები.

67. ბანკის ტფილისის კანტორა ცენტრალური დაწესებულებაა სახალხო ბანკისა; იქ არის მოთავსებული ბანკის ცენტრალური მმართველობა, სადაც შედიან, საბანკო განყოფილების გარდა, რომელიც ეწევა ბანკის წესდებით ნებადართულ ყოველ ოპერაციას, აგრეთვე განყოფილებანი: საკრედიტო ბილეთებისა, ადგილობრივ დაწესებულებათა, მთავარი ბუხჰალტერია და კანცელარია.

68. საკრედიტო ბილეთების განყოფილების მოქმედება მიწესრიგებულ უნდა იქნეს რესპუბლიკის მთავრობის სპეციალურ დადგენილებათა და განკარგულებათა თანახმად, ფინანსთა სახალხო კომისარის საშუალებით.

69. ადგილობრივ დაწესებულებათა განყოფილებას დაევალება ბანკის ადგილობრივ დაწესებულებათა ოპერაციების საქმისწარმოება. ამ დაწესებულებათათვის განაწესის შედგენა, თვალყურის დევნება მათი მოქმედებისათვის ანგარიშწყობისა და რევიზიის საფუძველზე.

70. მთავარ ბუხჰალტერიაში თავმოყრილია ბანკის საერთო ანგარიშწარმოება, აგრეთვე დროგამოშვებითი ბალანსების და წლიური ანგარიშის შედგენა.

71. კანცელარიის მოვალეობას შეადგენს ბანკის ყოველწლიური შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შედგენა და ყურისგდება აღრიცხვით ნებადართული ხარჯის წარმოებისათვის, ხელმძღვანელობა მოხელეთა პირადი შედგენილობისა, სამნეო და საალმშენებლო ნაწილისა, მიწერ-მოწერა და საქმის წარმოება ბანკის ცენტრალურ კონტორის საერთო საქმეთათვის იმდენად, რამდენადაც ეს მოვალეობა სხვა ცენტრალურ კონტორასთან არსებულ განყოფილებას არ ექნება დავალებული.

72. ბანკის ცენტრალურ კონტორასთან არსებობს თანამდებობა ბანკის იურისკონსულტისა: მისი მოვალეობაა—თვალყური ადევნოს ბანკის ვადაგადაცილებული ვალების გადახდევინებას და ბანკზე დარჩენილ გირაოებს, აგრეთვე შეადგინოს ხელშეკრულებანი და სხვა სამოქალაქო საბუთის ქაღალდები და სასამართლოში ბანკის საქმეები აწარმოოს.

73, ბანკის განყოფილება არ დება რესპუბლიკის უფრო დიდ სავაჭრო-სამრეწველო ადგილებში თვითეულ განყოფილებას ექვემდებარება, საბჭოს ცალკე განაწილებით, მირთვა-გამგეობის და ანგარიშების ჩაბარების წესისამებრ, უწყებული რიცხვი ბანკის სააგენტოებისა, რომელნიც შეადგენენ განყოფილების რაიონს.

74. განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსება უნდა გადასწყვიტოს ბანკის საბჭომ,—გამგეობის წარდგენით.

75. განყოფილების გამგეობა ევალება განყოფილების მმართველთ, რომელსაც ამტკიცებს თანამდებობაზე ბანკის საბჭო, გამგეობის წარდგენით.

შენიშვნა: დიდს განყოფილებაში შესაძლოა მმართველს დამხმარედ დანიშნოს ამხანაგი იმ წესით, რომელიც ამავე მუხლშია აღნიშნული.

76. განყოფილების მმართველს ეკუთვნის აღმასრულებელი და საგანმგებლო უფლება, განსაზღვრული როგორც ამა წესდებით, ისევე ბანკის ინ-

ტრუქციებით და გამგეობის განკარგულებით.

კერძოდ მას დაევალება:

1) უახლოესი ხელმძღვანელობა გაუწიოს განყოფილების ყოველს ოპერაციას და ყური უგდოს საქმეთა წარმოებას და ანგარიშების მსვლელობას, წესდების და გამგეობის განკარგულებათა აღსრულებას, აგრეთვე კასის და საფასურის დაცვა-შენახვას;

2) აწარმოოს მიწერ-მოწერა განყოფილების სახელით და დასდოს ხელშეკრულებანი და პიროვანი წესდებით ნებადართულ ფარგლებში, გამგეობის განკარგულებათა თანახმად;

3) გააძწესოს ის მოხელენი განყოფილებაში და მის ხელქვეით სააგენტოებში, რომელთა მოწვევაც მის უფლებას შეადგენს და წარუდგინოს ბანკის გამგეობას უმაღლეს თანამდებობაზე დასანიშნავი მოხელენი;

4) დანიშნოს, ან აწარმოოს ადგილობრივი საერთო და კერძო რევიზიები განყოფილებისა და მის ხელქვეით სააგენტოებისა;

5) წარავლინოს სამსახურის საქმის გამო, სადაც საჭირო იქნება, მოხელენი განყოფილებისა და თავის ხელქვეით სააგენტოებისა და დაავალოს მათ დროებითი მოვალეობის აღსრულება;

6) წარუდგინოს გამგეობას შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და წლიური ანგარიში განყოფილების რაიონისა, აგრეთვე დროგამოშვებითი ანგარიშები რაიონის დაწესებულებათა ოპერაციებისა;

7) მოუაროს ბანკზე დარჩენილ მამულებს;

8) დაიცვას ბანკის ინტერესები სასამართლოს წინაშე რაიონის საზღვრებში და, თუ საჭიროება მოითხოვს, ცალკე პირსაც მიანდოს ეს საქმე;

9) განაგოს, გამგეობის დავალებით, ფინანსიური ხასიათის ოპერაციები.

77. ყოველი ქაღალდი, რომელიც განყოფილებიდან გავა, ხელმოწერილ უნდა იყოს მმართველის (ან მმართველის ამხანაგის) და ბუხჰალტერის მიერ.

78. ბანკის სააგენტოში ირიცხებიან: სააგენტოს მმართველი (აგენტი), კასირი და, თუ საჭიროება მოითხოვს, ბუხჰალტერი და საქმისმწარმოებელი.

შენიშვნა: აგენტის მოვალეობა—შესაძლოა—დაეკისროს ერთ-ერთ ადგილობრივ თანამდებობის პირს სააგენტოების მოქმედების რაიონში, სათანადო უწყებასთან შეთანხმებით.

79. სააგენტოს დაევალება; იმ უმარტივეს საბანკო ოპერაციების წარმოება, რომელსაც განსაზღვრავს ბანკის საბჭო, აგრეთვე ბანკის ცენტრალური კონტორის და განყოფილებათა მინდობილობის აღსრულება ფულის გაცემის და მიღების შესახებ იმ გადაწყვეტილ რაოდენობამდე, რომელიც საბჭოს დადგენილებით აღნიშნულ იქნება, შეკრეფა ბანკის მმართველობისათვის საჭირო ცნობათა იმ ადგილის ეკონომიურ ვითარებისა, სადაც სააგენტოა, და ცნობების მიწოდება მსესხებელთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ.

გამნაღდებულ-გამსესხებელი კომიტეტები.

80. გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტები არსდება ბანკის უმთავრეს კონტორასა და განყოფილებასთან იმ აზრით, რომ განსაზღვროს, ვის რაოდენი კრედიტი მიეცეს, კერძო პირია, ფირმაა თუ დაწესებულება, და შეაფასოს, რამდენად კეთილსაიმედოა გასანაღდებლად წარდგენილი თამასუქი, გირაოდ შემოსატანი ქონება და საქონელი.

81. საქმე კრედიტის გადაწყვეტისა, მის მომატებისა, თამასუქის გასანაღდებლად მიღებისა და საქონლის დაგიოავებით სესხის გაცემისა უეჭველად უნდა განხილულ იქნეს გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტის მიერ.

82. გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტი არსებობს ცენტრალურ კონტორასთან, მმართველისა ან გამგეობის დავალებისამებრ. გამგეობის ერთ-ერთ წევრის თავმჯდომარეობით, ხოლო განყოფილებასთან—მმართველის ან მმართველის ამხანაგის თავმჯდომარეობით და შესდგება: გამგეობის იმ წევრისაგან, რომელსაც აბარია განაღდებ-გასესხების ოპერაციები ცენტრალურ კონტორაში, ხოლო მთავარ ბუხჰალტერისაგან—განყოფილებაში, აგრეთვე გამგეობისა და საბჭოს შეერთებულ კრებაზე აორჩეულთაგან: ვაჭრობა-მრეწველობაში ცნობილ პირთა მოლის თავისი გამოცდილებით ამ დარგში; სოფლის მეურნეობისაგან—სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენლისა და სპეციალისტთაგან; კოოპერაციისაგან—რესპუბლიკის კოოპერაციის ორგანიზაციათა წარმომადგენლისაგან.

ამათ გარდა, კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლიან მიიწვიოს სათათბიროო ხმის უფლებით ცოდნა-გამოცდილებით საქმისათვის სასარგებლო პირი.

შენიშვნა: განყოფილებათა გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტებში არჩეულ წევრთა კანდიდატები წარედგინება დასაატკიცებლად გამგეობას განყოფილების მმართველის ძიერ.

83. თვითეული გამნაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს გამგეობისა და საბჭოს შეერთებული საკრებულო. ყოველწლივ ნახევარი იმათგანი თავს ანებებს კომიტეტს, ხოლო პირველ წელს გასვლის ჯერი უნდა გადაწყდეს ერთმანეთთან შეთანხმებით ან წილის ყრით. გასული წევრი შეიძლება კვლავ არჩეულ იქნეს.

84. კომიტეტის წევრნი ვალდებულ არიან ბანკის საქმეთა საიდუმლოება დაიცვან.

85. თავის შრომისათვის კომიტეტის წევრნი მიიღებენ განსაზღვრულ გასამრჯელოს იმის მიხედვით, თუ რამდენს სხდომას დასწრებიან.

86. კომიტეტში საქმეები გადაწყდება ხმის უმეტესობით; თუ ხმათა რიცხვი გაიყო ორ თანასწორ ნაწილად, თავმჯდომარის ხმა დასძლევს.

უკეთუ კომიტეტის გადაწყვეტილებას რომელიმე თამასუქის გასანაღდებლად მიღებისათვის, ან კრედიტის რაოდენობის გახსნისთვის ბანკის, ან საოთანადო განყოფილების მმართველი არ დეთანხმა, —მას შეუძლიან შეაჩეროს ასეთი გადაწყვეტილება და ამ საგნის შესახებ მოხსენება წარუდგინოს: ბანკის მმართველმა—საბჭოს, ხოლო განყოფილების მმართველმა—გამგეობას. რასაც საბჭო გადასწყვეტს პირველ შემთხვევაში, ან გამგეობა მეორე შემთხვევაში, გადაწყვეტილება იგი მიჩნეულ უნდა იქნეს საბოლოოდ.

87. იმ დღეებში, როცა კომიტეტის სხდომა არ არის დანიშნული, გამგეობას ცენტრალურ კონტორაში, ხოლო მმართველს—განყოფილებაში შეუძლიანთ საკუთარის უფლებით მიიღონ თამასუქი გასანაღდებლად გადაწყვეტილი კრედიტების ფარგლებში, მხოლოდ იმ პირობით, რომ პირველსავე კრებაზე წარუდგინონ ის თამასუქი გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტს.

ბანკის ხარჯი, ანგარიშწყობა და კანტროლი.

88. ბანკის ხარჯი ბანკის მოგების ანგარიშით უნდა დაიფაროს. ამ ხარჯის აღრიცხვა უნდა შეადგინოს ბანკის გამგეობამ და, საბჭოს მიერ განხილვისა და დადასტურებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნის მიღების შემდეგ,—მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად. ამ წესითვე დამტკიცდება დამატებითი ხარჯი, რომელიც წინდაწინვე ვერ იქნება გათვალისწინებული აღრიცხვის შედგენის დროს.

89. ბანკის საოპერაციო წელიწადი იანგარიშება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-დე.

90. ბანკის ანგარიშთა მდგომარეობა თვეში ერთხელ მაინც გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ხოლმე საყოველთაო ცნობისათვის. ამ სახითვე უნდა გამოკაზადდეს ბანკის წლიური ანგარიშის ამონაწერიც.

91. ბანკის გამგეობა შეადგენს წლიურ ანგარიშს და, საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, გაუგზავნის მუშათა და გლეხთა ინსპექციას განსახილველად არა უგვიანეს საანგარიშო წლის მოძდევნო მაისის 1-სა.

92. ბანკის ანგარიშების შემოწმება, როგორც ცენტრალურ კონტორისა, ისე ძის ადგილობრივ დაწესებულებათა დაევალება მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომელიც შეამოწმებს ანგარიშებს დავთრებთან, სათვალავებთან და დოკუმენტებთან, რათა დარწმუნდეს, რომ ანგარიშში ნაჩვენები ხარჯი და ოპერაციები ეთანხმება ბანკის დავთრებს და სიბუთებს და აგრეთვე წესდების მოთხოვნილებათ და თავის დასკვნას აცხადებს ბანკის საბჭოს არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო ივლისის 1-სა.

93. მუშათა და გლეხთა ინსპექცია წლიურ ანგარიშის შედგენამდისაც შეამოწმებს წლის განმავლობაში ბანკის კასას და კასასა და სალაროში დაცულ საფასურს. ეს რევიზია ტფილისის კონტორაში სწარმოებს ბანკის საბჭოსაგან ამ საქმისათვის დანიშნული საბჭოს ორი წევრის თანადასწრებით.

94. შედეგი მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზიისა, როგორც ბანკის უმთავრეს კონტორაში, ისე ადგილობრივ დაწესებულებაში წარმოებულისა, უნდა გაეგზავნოს ბანკის გამგეობას, რომელმაც თავისი ახსნა-განმარტება, ბანკის საბჭოს დასკვნითურთ, უნდა წარუდგინოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

95. ბანკის გამგეობა ბანკის ანგარიშს წარუდგენს მთავრობას არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო სექტემბრის 1-სა, ანგარიშს დართული უნდა ჰქონდეს: გამგეობის მოხსენება ბანკის მოქმედების გამო და საბჭოს მოხსენება—დაწესებულების საქმეთა შესახებ და ჟურნალი მის მიერ ანგარიშის განხილვისა; აგრეთვე გამგეობის საპასუხო განმარტებანი, საბჭოს დასკვნითურთ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენიშვნების გამო.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ალ. სვანიძე.**

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. აგვისტოს 26.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 69

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარის შემოღების შესახებ.

რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დიდ ცენტრებში სასურსათო, სათბობი, საალმშენებლო, სამხედრო და სხვა ტვირთს მიზიდვა უზრუნველყოფილ იქნეს, აგრეთვე, რათა ეს მასალები სათანადო გეგმის მიხედვით განაწილებულ იქნეს სხვა და სხვა ადგილებ შორის,—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. **შემოღებულ იქნეს მთლად რესპუბლიკაში ნატურალური ქრა-დადებულ შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარა.**

2. ამა ბეგარის განსახორციელებლად გამოყენებულ უნდა იქნეს მთლად რესპუბლიკაში არსებული გადაზიდვის ყოველგვარი საშუალება კერძო პირთა და ორგანიზაციათა.

3. სამუშაო პირუტყვის პატრონთ დაევალებათ,—სახელმწიფო საჭიროებისათვის შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარად გამოიყენონ სამუშაოდ კვირაში ერთ დღეს, ან თვეში ოთხ დღის თვალეული თავი საქონელი, გადაზიდვის სათანადო საშუალებით: ურმით და სხვა ამისთანა ტვირთსაზიდით, შესაბმელი ხელსაწყოთი და მეხრით ან მეურმით.

4. აღნიშნული ბეგარისათვის ურმები და სხვა ტვირთსაზიდი მცხოვრებლებმა უნდა გამოიყვანონ თავიანთივე საკვებითა და სურსათით,—იმ ხნისათვის სამყოფითა რა ხანსაც გამოცხადებულ ბეგარაზე იქნებიან და იმ ვადაზე და ადგილას, რომელსაც სათანადო რევოლიუციონური კომიტეტი დაუნიშნავთ.

5. თვითეული ცალკე უწყება გეგმა-განცხადებას,—ამა დეკრეტის თანახმად,—თავისი საჭიროებისათვის განზრახული გადაზიდვის შესახებ წარუდგენს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელიც, თავისი მხრით, უშუალოდ, დავალებას ამა გადაზიდვის გამო მისცემს სათანადო სამაზრო რევოლიუციონურ კომიტეტს.

6. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ თვითეული ცალკე უწყებისათვის გადაზიდვის საშუალებათა დანიშვნის მიხედვით—განკარგულებას გადაზიდვის აღსრულების თაობაზე გასცემს უშუალოდ ამ უწყებისავე ადგილობრივი წარმომადგენელი.

7. გადაზიდვის სასყიდლის რაოდენობას განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო სამაზრო რევოლიუციონურ კომიტეტებსა და დაინტერესებულ უწყებათა ადგილობრივ წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

8. აღსრულებული გადაზიდვისათვის სასყიდლის გაღება უნდა მოხდეს კუთვნილებისამებრ: სასურსათო სახალხო კომისარიატისა, გაერთიანებულ რკინიგზათა სამმართველოსა და სატყეო კომიტეტის მიერ—ადგილობრივ უშუალოდ; ხოლო დანარჩენ უწყებათა საჭიროებისათვის გადაზიდვის სასყიდელს გაიღებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

9, სასყიდელი მიიცემა როგორც ფულის ნიშნებით, ისე საქონლითა და პროდუქტებით, იმისდა შეფარდებით,—თუ რა მოეპოება გადამხდელს და როგორია ადგილობრივი გარემოება და მოთხოვნილება.

10. ის, ვინც განირიდებს თავს ამა ბეგარის აღსრულებისაგან, აგრეთვე ის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც არ აღასრულებს ამა დეკრეტს, ან უმუყაითოდ განახორციელებს ბიგარას ან და თვალყურს არ ადევნებს, ამა დეკრეტის ძალით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემულ ბრძანებისა და განკარგულების აღსრულებას,—მიიცემა პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონთა მიხედვით.

11. ამა დეკრეტის განხორციელება—ტექნიკური მხრით—დაევალება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

12. დეკრეტი ესე ძალაში შედის შვიდი დღის შემდეგ—დღიდან მისი ტფილისში გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯ. **ბ. მდივანი.**

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს თავმჯ.

მ. ტოროშელიძე.

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. სექტემბრის 5.

ქ. ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი № 70

საქართ. სოც. საბ. რეს. რევ. კომიტეტისა

მეღვინეობის პროდუქტების ნატურალური გადასახადის შესახებ.

საქონლის გაცვლა - გამოცვლისათვის საჭირო პროდუქტების შესაკრებად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ღვინის ნატურალური გადასახადი.

2. ღვინის გადასახადის საერთო წლიური ჯამი განისაზღვროს ხუთასათას (500.000) ვედროდ.

3. მეღვინეობის თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობა უნდა განსაზღვრეს ვენახის სივრცისა და იმ ადგილის მოსავლის მიხედვით.

ამისათვის უნდა დაწესდეს მეურნეობის ათი ჯგუფი ვენახის სივრცის მიხედვით და ათი კატეგორია მოსავლის მიხედვით.

4. გადასახადის განაკვეთი დაწესებულ უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით:

ღვინის გადასახადი (ვედრობით) მეურნეობაზე:

	როდესაც ღვინის მოსავალი ერთ დესეტინაზე ვედრობით იქნება:									
უკეთუ მეურნეობაში ვენახის სივრცე დესეტინობით უდრის:	100-ზე	101—125	126—150	151—175	176—200	201—225	226—250	251—300	301—350	351 ზე ტრ.
1/5-დე ამ რიცხვი-თურთ . .	—	—	—	1	2	2	3	3	4	5
1/5—1/4 ამ რიცხვ.	—	—	2	3	4	4	5	5	6	7
1/3—3/8 „	3	3	4	5	5	6	7	8	9	11
3/4—1/2 „	4	4	5	6	7	8	9	11	12	14
1/2—5/8 „	4	5	7	8	9	10	11	13	16	18
5/8—1 „	7	9	11	12	14	16	18	21	25	28
1—2 „	12	16	19	21	24	28	31	37	42	50
2—3 „	23	28	34	39	45	51	56	68	79	90
3—5 „	51	64	77	89	102	115	128	153	179	204
5 მეტი „	75	94	113	132	150	169	188	255	262	300

5. სასურსათო სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა,—მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—იმ სოფლებში, რომლებიც მეღვინეობის წარმოებას აკრავს,—გადასახადი—ღვინის მაგიერ, ყურძნად აიღოს—ერთ ვედრო ღვინოში ერთი ფუთი ყურძენი.

6. სხვა რაიონებისათვის სასურსათო სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა,—გადასახადის გამღებთა თანხმობით, შესცვალოს ღვინო სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტით,—სპეციალურად შემუშავებულ განაკვეთების მიხედვით.

7. როდესაც გამორკვეული იქნება ნამდვილად პირი ყურძნის მოსავლისა,—სასურსათო სახალხო კომისარიატი,—მიწადმოქმედების სახალხო კომისა-

რიატსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად,—დააწესებენ რესპუბლიკის თვითეული რაიონებისათვის სათესლად კატეგორიას მოსავლის მიხედვით,—ზემოაღნიშნული ცხრილის თანახმად.

8. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის გადასახადს დაადგენს ნატურალური გადასახადის საგანგებო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია პუთის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

9. ლეინის გადასახადის ჩაბარების ვადას აწესებს სასურსათო სახალხო კომისარიატი; ამასთანავე, ჩაბარება დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1921 წლის ოქტომბრის 1 სა. ხოლო ლეინის გადასახადის გამეორებული გადასახადის ჩაბარებას უნდა შეუდგენენ მოსავლის დაბინავებისათანავე—დაუყოვნებლივ.

შენიშვნა: გადამხდელთაგან შემოტანილი პროდუქტები უნდა იყოს ყოველად კარგის თვისებისა.

10. გადასახადის გამღებნი მოვალენი არიან მათი ხელმძღვანელობა—ყურძენად, ლეინოდ და სხვა პროდუქტებად მიიტანონ თავიანთივე საშუალებით დაწესებულ მიმღებ პუნქტებში,—საბჭოთა მეურნეობასა, დამშვიდებულ კონტორასა, კოოპერატივის საწყობში და სხვ.

11. მეურნეობა სივრცით ნახევარ დესეტინაზე მეტია. როდესაც ერთ დესეტინის ლეინის მოსავალი 150 ვედროზე ნაკლები იქნება,—ხოლო მეურნეობა ერთ მეოთხედ დესეტინამდე, როდესაც ერთი დესეტინის მოსავალი 125 ვედროზე ნაკლები იქნება,—გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს.

12 ამა დეკრეტის ასრულება დაეკისრება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება იძლევა—გამოსცეს ხელმისაჭერი დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

13. ის მოქალაქე, რომელიც არ გაისტუმრებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის ვინც წარადგენს ყალბ ცნობას გადასახადის თაობაზე, მიეცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიულის წესით.

14. დეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდ. **ბ. ფდივანი.**
სასურსათო სახალხო კომისრის
მოადგილე **ა ერქომაიშვილი.**
რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. ხალფარიძე.**
1921 წ., სექტემბრის 7.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი № 71

საქ. ხალ. ს ბ რ ე ს პ. რ ე ვ ო ლ ი უ ც. კომიტეტისა კარტოფილისა და ბოსტნეულის ნატურალური გადასახადის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს კარტოფილის და მებოსტნეობის პროდუქტების ნატურალური სასურსათო გადასახადი.

2. კარტოფილის გადასახადი უნდა დაეკისროს ყოველ იმ მეურნეობას, რომელსაც კარტოფილი მოჰყავს.

3. კარტოფილის გადასახადის რაოდენობა ალირიცხება მეურნეობაში კარტოფილის ნათესის სიფართისა და იმ ადგილის მოსავლის მიხედვით; ამისათვის უნდა დაწესდეს ოთხი კატეგორია.

4. კარტოფილის გადასახადის ანაკვეთი უნდა დაწესდეს ერთი დესეტინა ნათესი კარტოფილისათვის შემდეგი რაოდენობით:

როდესაც მოსავალი ერთი დესეტინისა არის:			
300 ფ—დ.	301—400 ფ.	401—500 ფ	500 ფ. და მეტი.
25 ფუთ.	35 ფუთ.	45 ფუთ.	60 ფუთ.

5. სასურსათო სახალხო კომისარიატს უფლება იძლევა ამა თუ იმ ადგილს ნება დართოს, კარტოფილის მაგივრად, გადასახადი გაიღონ ბოსტნეულით, ფისვნაყოფა ჯიშის პროდუქტით, პურეულით და მარცვლეულით (ცრუპა)—შემდეგი შეფარდებით:

ერთი ფუთი კარტოფილის ნაცვლად შეიტანება ერთ-ერთი ქვემოდ ჩამოთვლილი პროდუქტთაგანი—შემდეგი რაოდენობით:

ხახვი . . . . . 7½ გ
ნიორი . . . . . 6 გ.
კომბოსტო . . . . . 1 ფ. 13½ გ.
გოგრა . . . . . 37½ გ.
ჭარხალი (საკვები) . . . . 15 გ.
ხორბალი . . . . . 10 გ.
სიმინდი . . . . . 20 გ.
ქერი ან შვრია . . . . . 12½ გ.
ლობი ან ფეტვი . . . . . 12½ გ.
ლობიო . . . . . 6 გ.

6. როდესაც გამორკვეული იქნება ნამდვილი პირი კარტოფილის მოსავლისა, სასურსათო სახალხო კომისარიატი,—მიწადოქმედებს სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად,—დაწესებენ რესპუბლიკის თვითეული რაიონის თვის სათესლად კატეგორიას მოსავლის მიხედვით, ზემოაღნიშნული ცხრილის თანახმად.

7. საბოსტნეოლო გადასახადი ადგილი უნდა დაეკისროს საბოსტნე და საბოსტნო მეურნეობას—ადგილმდებარეობის მიუხედავად, ე. ი. სოფლად, ქალაქად და სხვ.

8 საბოსტნეულო გადასახადის რაოდენობა ალირიცხება მეურნეობაში ნათესი ბოსტნეულის სივრცის მიხედვით; ამისათვის უნდა დაწესდეს მე-

ურნეობის ხუთი ჯგუფი სივრცისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

9. საბოსტნეულო გადასახადის განაკვეთი უნდა დაწესდეს ერთი დესეტინისათვის ყოველგვარი ბოსტნეულის კომბოსტოსთან შეფარდებით, შემდეგი რაოდენობით:

მეურნეობათა ჯგუფები:	გადასახადის განაკვეთი ერთი დესეტინა კომბოსტოსათვის ფუთობით.
1. სოფლად მდებარე მეურნეობა სივრცით $^1/_8$ დესეტინაზე მეტი და $^1/_4$ დესეტინამდე—ამ რიცხვითურთ	40
2. სოფლად მდებარე მეურნეობა სივრცით მეოთხედ დესეტ. მეტი და ნახევარ დესეტინამდე ამ რიცხვითურთ	60
3. სოფლად მდებარე მეურნეობა სივრცით ნახევარ დესეტინაზე მეტი	90
4. ქალაქის მიდამოსა და ქალაქში მდებარე მეურნეობა სივრცით $^1/_8$ დესეტინაზე მეტი და $^1/_2$ დესეტ. ამ რიცხვითურთ.	80
5. ქალაქის მიდამოსა და ქალაქში მდებარე მეურნეობა სივრცით $^1/_2$ დესეტინაზე მეტი.	120

10. მეურნეობა სივრცით ერთ მერვედ დესეტინამდე—ამ რიცხვითურთ—გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნეს.

11. სასურსათო სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა—ამა თუ იმ ადგილას ნება დართოს ბოსტნეულის გადასახადის გამლებთ—ჩააბარონ იგი, კომბოსტოს მაგიერ, სხვა ბოსტნეულით და ფესვნაყოფა ჯიშის პროდუქტით შემდეგი შეფარდებით:

ერთი ფუთი კომბოსტოს ნაცვლად შეიტანება ერთ-ერთი ქვემოდ ჩამოთვლილი პროდუქტთაგანი შემდეგი შეფარდებით:

ჭარხალი (საქმელი)	20 გ.
კარტოფილი	30 გ.
ლობიო	8 გ.
ხახვი	10 გ.
გოგრა	50 გ.
ნიორი	8 გ.

12, სასურსათო სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა განსაზღვრული ცალკე ადგილებისათვის სავალდებულოდ დაწესოს საბოსტნეულო გადასახადის ჩაბარება ამა თუ იმ ბოსტნეულით და ფესვნაყოფა ჯიშის პროდუქტით წინა მუხლში აღნიშნული შეფარდებით.

13. რათა თვითეული მეურნეობისათვის დაწესებულ იქნეს ცალკე კარტოფილისა და ცალკე საბოსტნეულო გადასახადი, დესეტინობითი განაკვეთი გადიდებულ ან შემცირებულ უნდა იქნეს იმდენჯერ, რამდენ დესეტინასაც ან არასრული დესეტინის რამდენ ნაწილსაც შეიცავს გადასახადასადები სივრცე მეურნეობისა.

14. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის კარტოფილისა და საბოსტნეულო გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს ნატურალური გადასახადის სამაზრო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია ჰურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

15. გადასახადის გამლებნი ვალდებულნი არიან ჩააბარონ ბოსტნეული და კარტოფილი მოსავლის ერთობლივ დაბინავებისამებრ.

საცალკეო ვადას გადასახადის ჩასაბარებლად გადასწყვეტს ხოლმე სასურსათო კომისარიატი, მაგრამ არა უგვიანეს 1921 წ. დეკემბრის 1-სა.

16. გადამზდელთაგან შემოტანილი პროდუქტი უნდა იყოს კარგის თვისებისა და მათივე საშუალებით უნდა იქნეს მიტანილი დაწესებულ მიმღებ პუნქტებში—დამმზადებელ კონტორასა, კოოპერატივის საწყობსა და სხვ.

17. ამა დეკრეტის აღსრულება დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

18. ის მოქალაქე, რომელიც არ გაისტუმრებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის ვინც წარადგენს ყალბ ცნობას ამა გადასახადი თაობაზე, მიეცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიულის წესით.

14. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სასურსათო სახალხო კომისრის
მოადგილე **ა. ერქომაიშვილი.**

რევოლ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. სექტემბრის 7.
ტფილისი,—სასახლე.

დეკრეტი № 72

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუც. კომიტეტისა

ხილის ნატურალური გადასახადის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ამა 1921 წლისათვის ხილის ნატურალური სასურსათო გადასახადი—ვაშლსა და მსხალზე და თხილსა და კაკალზე.

2. გადასახადი უნდა დაედოს იმ მეურნეობას,—ადგილმდებარეობის მიუხედავად (ე. ი. სოფლად, ქალაქად და სხვ.),—სადაც მოიპოვება ვაშლისა და მსხლის განაშენი.

3. ხილის გადასახადის ასაკრეფად დაწესებულ უნდა იქნეს მეურნეობის თერთმეტი ჯგუფი 1921 წ. ამა თუ იმ მთელი მეურნეობის ყოველგვარი ჯიშის ვაშლისა და მსხლის საერთო მოსავლის მიხედვით.

4. ხილის გადასახადი გაღებულ უნდა იქნეს საზამთრო ჯიშის ვაშლით — შემდეგი რაოდენობით:

როდესაც ყოველგვარი ჯიშის ვაშლისა და მსხლის მოსავალი 1921 წ. ფუთობით უდრის:

	11—20	21—30	31—40	41—50	51—75	76—100	101—125	126—150	151—175	176—200	200 მეტი
გადასახადი გამოერთმევა მთლად მეურნეობას ფუთობით . . .	1	2	3	4	7	10	14	18	23	28	უკეთუ მოსავალი 200 ფ. აღემატება,—28 ფ. უნდა მიემატოს თვითეულ 25 ფ. (სრულსა და უსრულოს) ოთხოთხი ფუთი.

5. მეურნეობა, სადაც ყოველგვარი ჯიშის ვაშლისა და მსხლის მოსავალი 1921 წელს ათ ფუთს არ აღემატება, განთავისუფლებულ უნდა იქნეს ხილის გადასახადისაგან.

6. იმ მეურნეობას, სადაც 1921 წელს საზამთრო ჯიშის ვაშლის მოსავალი მის ხვედრ ხილის გადასახადის რაოდენობაზე ნაკლები იქნება,—შეუძლიან გადასახადი საზამთრო ჯიშის მსხლით გაიღოს.

7. იმ მეურნეობისთვის, სადაც ხილის ხმობას სამრეწველო ხასიათი აქვს, სავალდებულოა ხილის გადასახადი გამხმარი ხილით გაიღოს, თანახმად ამა დეკრეტის ძე-8 მუხ. დადგენილი შეფასებისა.

8. გადასახადის გამღებთ უფლება აქვთ ხილის გადასახადი, ნედლი ვაშლისა და მსხლის მაგიერ, გამხმარი ხილით ჩააბარონ—ვაშლისა, მსხლისა, გარგარისა (ჭერამისა,) ატამისა, ქლიავისა, ალუბლისა და კომშისა—იმ ანგარიშით, რომ ერთი ფუთი ნედლი საზამთრო ჯიშის ვაშლი და მსხალი უნდა უდრიდეს:

გამხმარ ხილს გირვანქობით:

	კანგაფცქვნილსა და გულ და კურკა ამოღებულს.	გაუფცქვნელი.
ვაშლი . . .	5	7
მსხალი . . .	5	6
ატამი . . .	$6^1/_4$	$7^1/_2$
გარგარი (ჭერამი)	$6^1/_4$	$7^1/_2$
ქლიავი . . .	10	14
კომში . . .	$6^1/_4$	$7^1/_2$
ალუბალი . .	9	12

9. თხილის და კაკლის გადასახადი უნდა დადგეს ისეთ მეურნეობას, ადგილმდებარეობის მიუხედავად (ე. ი. სოფლად, ქალაქად და სხვ.), სადაც თხილის ბუჩქები და კაკლის ხეებია, რაგორც ცალცალკე დანარგი, ისე განაშენი.

10. თხილის და კაკლის გადასახადის ასაკრეფად დაწესებულ უნდა იქნეს მეურნეობის რვა ჯგუფი 1921 წელს ამა, თუ იმ მთელი მეურნეობის თხილისა და კაკლის საერთო მოსავლის მიხედვით:

11. თხილისა და კაკლის გადასახადი აიღება შემდეგი რაოდენობით:

როდესაც თხილისა და კაკლის მოსავალი 1921 წ. მთლად მეურნეობაში უდრის ფუთობით:

	6—10	11—20	21—30	31—40	41—50	51—75	76—100	100 მეტი.
გადასახადი გამოერთმევა მთლად მეურნეობას . . .	20 ფ.	1 ფ. და 20 ფ.	2 ფ. და 20 ფ.	3 ფ. და 20 ფ.	5 ფ.	9 ფ.	14 ფ.	უკეთუ მოსავალი 100 ფ. აღემატება, 14 ფ. უნდა მიემატოს თვითეულ 25 ფ.-ზე (სრულსა თუ უსრულოს) 4-ოთხი ფუთ.

12. მეურნეობა, სადაც 1921 წელს თხილისა და კაკლის მოსავალი ხუთ ფუთზე ნაკლები იქნება, განთავისუფლებულ უნდა იქნეს თხილისა და კაკლის გადასახადისაგან.

13. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის ხილისა და კაკლის და თხილის გადასახადს დაწესებს ნატურალური გადასახადის საძაზრო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

14. გადასახადი აკრეფილ უნდა იქნეს იმ ვადაზე, რომელსაც დაწესებს სასურსათო სახალხო კომისარიატი, ხოლო არა უგვიანეს 1921 წლის დეკემბრის 1-სა.

15. გადასახადის გამღებთაგან შემოსული ნედლი და გამხმარი ხილი და კაკალი და თხილი უნდა იყოს კარგის თვისებისა და მიტანილ უნდა იქნეს თვით გადამხდელთა საშუალებით დაწესებულ მიმღებ პუნქტებში—დამაზადებელ კონტორასა, კოოპერატივის საწყობსა და სხვ.

16. ამა დეკრეტის აღსრულება დაეკვალოს სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

17. ის მოქალაქე, რომელიც არ გაისტუმრებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის, ვინც ყალბ ცნობას წარადგენს ამა გადასახადის თაობაზე, მიიცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით.—

18. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდ. **ბ. მდივანი.**

სასურსათო სახალხო კომისარის
მოადგილე **ა. ერქომაიშვილი.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 7.
ტფილისი,—სასახლე.

დეკრეტი № 73

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა ხორცის ნატურალური გადასახადის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევ. კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1921 წლისათვის ხორცის ნატურალური სასურსათო გადასახადი.

2. ხორცის ნატურალური გადასახადი უნდა გაიღოს ყველამ, ვისაც ჰყავს სხვა და სხვა საქონელი და ღორი იმისდამიუხედავად, თუ სად იმყოფება იგი, ე. ი. სოფლად თუ ქალაქად და სხვ.

3. გადასახადის ასაკრეფად უნდა დაწესდეს შვიდი კატეგორია, პირუტყვის სახისა და წონის მიედვით.

4. გადასახადის განაკვეთი უნდა დაწესდეს თვითეულ თავ ცხოველზე—ხორცთან შეფარდებით—შემდეგი რაოდენობით:

კ ა ტ ე გ ო რ ი ა	გადასახადის განაკვეთი თვითეულ თავზე ხორცდ გირანქობ.
1. ხარი და ძროხა დ სავლეთ საქართველოს ყველა მაზრაში , . .	2 (ორი)
2. ხარი და ძროხა თიანეთისა, დუშეთისა და გორის მაზრებში . .	3 (სამი).
3. ხარი და ძროხა ტფილისისა, თელავისა, სალნალისა და ახალციხის მაზრებში	4 (ოთხი).
4. ხარი და ძროხა ახალქალაქის მაზრაში, და ძროხა ადგილობრივი ჯიშისა ბორჩალოს მაზრაში . .	5 (ხუთი).
5. ხარი და ძროხა გაუმჯობესებული ჯიშისა ბორჩალოს მაზრაში . .	6 (ექვსი).
6. ხარ-კამეჩი და ფერ-კამეჩი რესპუბლიკის ყოველ მაზრაში . . .	$4^1/_2$ (ოთხნახევარ).
7. ღორი რესპუბლიკის ყოველ მაზრაში	$2^3/_4$ (ორი და სამმეოთხედი)

შენიშვნა: თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის საერთო ჯამის გამოსაანგარიშებლად,—თითო სულზე განსაზღვრული განაკვეთი—გამრავლებულ უნდა იქნეს იმდენჯერ, რამდენიც მეურნეობაში თავი საქონელია.

ბ. ნორჩი სხვილფეხა საქონელი ორის წლისაზე არა უხნესი, აგრეთვე ერთად-ერთი ძროხა და ერთადერთი ღორი მეურნეობაში—გადასახადის გაწერის დროს სათვალავში არ მიიღება და გადასახადი არ დაედება.

6. გადასახადის ჩაბარება ცოცხალი პირუტყვით უნდა მოხდეს.

გადასახადის განაკვეთის ცოცხალი საქონლის წონასთან შეფარდების წესს შეიმუშავებს სასურსათო სახალხო კომისარიატი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად.

გადასახადის ანგარიშში არ მიიღება:

ა) ყოველი სახის პირუტყვი მაკობის მეორე პერიოდში.

ბ) კურო-მოზვერი სანაშენო (ბუღა) ხუთაობის ხნისა და სარეკონტო უმცროსი ხნისა.

გ) მუშა-ხარი და კამეჩი და სარეკონტო უმცროსი ხნისა.

დ) ნორჩი სხვილფეხა საქონელი და კამეჩი ორის წლისაზე არა უხნესი, აგრეთვე ღორი ერთის წლისაზე არა უხნესი.

ე) მეწველე საქონელი იმ დრომდე, ვიდრე არ გაძოიფიტება და მარტოოდენ სახორცედ არ იქნება გამოსადეგი—ქალაქად და სამეწველო ცენტრებში.

7) ხორცის გადასახადის გამდებთ უფლება აქვთ, თავისი სურვილისამებრ, გადასახადის ჩაბარების დროს, ხარისა და ძროხის მაგიერ, ჩაბარონ კამეჩი, ღორი, ცხვარი და რძის პროდუქტები შემდეგი საფუძვლით:

	ღორისა ან ცხვ. წონა.	კ მეჩის წონა	ძროხის ერბო.	მსუქანი (ნაღებაბოუხდელი) ყველი.
ერთი ფუთის წონა ხარი ა და ძროხისა უდრის	30 გირ.	33 გ.	$13^1/_2$ გ.	26 გირვ.

8. ხორცის გადასახადის გასასტუმრებლად ცალკე გადამხდელნი შეერთდებიან ჯგუფებად, ერთმანეთთან შეთანხმებით, იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ ვისი საქონლით გასტუმრებულ იქნეს გადასახადი; აგრეთვე იმ წესისა და საშუალების განსაზღვრისათვის, თუ როგორ დააკმაყოფილონ ცალკე გადამხდელებმა ის მეურნეობა, რომლის საქონელიც ჩაბარდა სახელმწიფოს.

გადასახადად ჩაბარებული საქონლის ღირებულობის ანაზღაურება საგალდებულოა.

უკეთუ ვინმე ცალკე გადამხდელთაგანი თავს განირიდებს მისთვის საგალდებულო—ჩაბარებული საქონლის პატრონისათვის ღირებულების ანაზღაურებისაგან,—პასუხისგებაში იქნება მიცემული ადმინისტრატიულის წესით, როგორც გადასახადისაგან გამრიდე პირი.

უკეთუ ცალკე გადამხდელთა შორის არ მოხ-

ლება შეთანხმება, ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტი, არსებული წესის მიხედვით დაადგენს—გადამხდელთა შორის რომელს უნდა ჩამოერთვას საქონელი გადასახადის გასასტუმრებლად და აგრეთვე—რა ნორმითა და წესით უნდა გადაუხადონ დანარჩენმა გადამხდელებმა მას ჩამორთმეული საქონლია ღირებულება.

9. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობას აწესებს ნატურალური გადასახადის სამაზრო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

10. გადასახადის აკრეფა უნდა მოხდეს იმ ვადაზე, რომელსაც დაადგენს სასურსათო სახალხო კომისარიატი ძიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

11. გადამხდელთაგან მიღებული საქონელი უნდა იყოს ჯანსაღი და საშუალოზე არა ნაკლებ ნაპატიები, ხოლო რძის პროდუქტი კარგია თვისებისა.

გადასახადად ჩასაბარებელი საქონელი და რძის პროდუქტები მიიტანილ და მიტანილი უნდა იქნეს გადამხდელთავე საშუალებით—დაწესებულ მისაღებ ადგილებში—დამმზადებელ კონტორებსა, კოოპერატივის საწყობში და სხვ.

12. ამა დეკრეტის აღსრულება დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

13. ის მოქალაქე, რომელიც არ გაიღებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის, ვინც წარადგენს ყალბ ცნობას ხორცის გადასახადის თაობაზე,—მიიცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიულის წესით.

14) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ოევ. კომიტეტის თავმჯდ. ბ. **მდივანი.**

სასურსათო სახალხო კომისრის

მოადგილე **ა. ერქომაიშვილი.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 7.

ქ. ტფილისი,—სასახლე.

დეკრეტი № 74

საქართ. სოც. საბ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა

რძის პროდუქტების ნატურალური გადასახადის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს—შეძლებულ იქნეს ამა 1921 წლისათვის რძის პროდუქტების (ძროხისა და ცხვრის) ნატურალური სასურსათო გადასახადი.

2. გადასახადი უნდა გაიღოს ყველამ, ვისაც ჰყავს ძროხა და ცხვარი იმისდამიხედვად, თუ სად იმყოფება იგი, ე. ი. სოფლად თუ ქალაქად.

3. ძროხის რძის პროდუქტების გადასახადის ასაკრეფად მთლად რესპუბლიკაში უნდა დაწესდეს ხუთი რაიონი და მეურნეობის ოთხი ჯგუფი თვითეულ რაიონში, იმისდამიხედვით, თუ თვითეულ მეურნეობაში რამდენი თავი ძროხაა.

4. ძროხის რძის პროდუქტების გადასახადის განაკვეთი უნდა დაწესდეს—რძის ყოველი პროდუქტის შეფასებით—**დასავლეთ** საქართველოსათვის—(პირველი საგადასახადო რაიონი) მსუქან (ძროხის ნაღებმოუხდელ რძის) **ყველთან** და **ალმოსავლეთ** საქართველოსათვის (ძე-2, 3. 4 და 5 საგადასახადო რაიონი) ძროხის **ერბოსთან**—შემდეგი რაოდენობით:

რაიონები	გადასახადის განაკვეთი (გირვანქ.) თვითეულ თავ საქონელზე, როდესაც საქონ. საერთ. რიცხვ. მეურნეობ. არის:			
	2 სული	3 სული	4 სული	5 და მეტიც.
1. დასავლეთი საქ-რთველო	**მ ხ უ ქ ა ნ ი ყ ვ ე ლ ი თ** 2	2½	3¼	4
2. ახალციხისა, სილნაღისა, თელავისა და ტფილისის ძაზოები და გორისა და ბორჩ. მაზრის დაბლობი ადგილები	**ძ რ ო ხ ი ს ე რ ბ ო თ ი** 2	2½	3¼	4
3. ახალქალაქისა და დუშეთის ძაზოები და გორის მაზრის მაღალი (მთიანი) ადგილ.	3	3½	4¾	6
4. თიანეთის მაზრა	3½	4¼	5½	7
5. ბორჩ. მაზრის მაღალი (მთიანი) ადგილ. (გაუმჯ. ჯიშ.).	4	4¾	6½	8
(ადგილ ჯიშ.).	3½	4¼	5½	7

შენიშვნა: თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის საერთო ჯამის გამოსაანგარიშებლად თითო სულზე განსაზღვრული განაკვეთი გამრავლებულ უნდა იქნეს იმდენჯერ, რამდენიც ამ მეურნეობაში ძროხაა.

5. ის მეურნეობა, რომელსაც ერთი ძროხა გააჩნია,—განთავისუფლებულ უნდა იქნეს ძროხის რძის პროდუქტების გადასახადისაგან.

6. ცხვრის რძის პროდუქტების გადასახადის ასაკრეფად უნდა დაწესდეს მეურნეობის ხუთი ჯგუფი იმისდამიხედვით, თუ თვითეულ მეურნეობაში რამდენი თავი ცხვარია.

7. ცხვრის რძის პროდუქტების გადასახადი გაღებულ უნდა იქნეს მსუქანი (ნაღებმოუხდელი რძის) ცხვრის ყველით შემდეგი განაკვეთის მიხედვით:

მეურნეობა, რომელსაც ჰყავს ცხვარი:	გადასახადის განაკვეთი თვითეულ თავზე მსუქ. ცხვრ. ყველით გ რვანქობით.
11—75 . . .	1/4
76—200 . .	3/8
201—500 . . .	3/4
501 და მეტიც	1 გირვ.

შენიშვნა: თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის საერთო ჯამის გამოსაანგარიშებლად თითო თავზე განსაზღვრული განაკვეთი გამრავლებულ უნდა იქნეს იმდენჯერ, რამდენიც ამ მეურნეობაში ცხვარია.

8, ის მეურნეობა, რომელსაც თერთმეტ ცხვარზე ნაკლები ჰყავს, განთავისუფლებულ უნდა იქნეს ცხვრის რძის პროდუქტების გადასახადისაგან.

9. გადამხდელს უფლება აქვს გადასახადის ჩაბარების დროს ერთი პროდუქტი მეორეთი შესცვალოს შემდეგი საფუძვლით:

| ნაცვლად ერთი გირვანქისა / ჩაბარება უნდა მოხდეს გირვანქობით. | ძროხის ერბო (გადაუდნარი). | მსუქანი ყველი (ნაღებმოუხდელი ცხვრისა ან ძროხის რძისა). | ერბი ან ყველი (ნაღებ-ან-ნაღებ-ან-ნაღებ-ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულებათა წარმომადგენლების შემადგენლობით: საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტებისა, საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, ცალკე კავკასიის არმიის პოლიტიკური სამმართველოსი, საქართველოს წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველოსი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოსი.

2. საბჭოთა ყველა დაწესებულებათ წინადადება ეძლევათ კომისიის ყოველი განკარგულება ამ დღესასწაულის შესახებ შეასრულონ საომარი ბრძანების წესით.

3. კომისიის ყოველი განკარგულება, მანდატი და მიმართვა, რომელიც შეეხება დღესასწაულის მოწყობის ტეხნიკურ მხარეს, გამოიცემა ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ორახელაშვილისა** და პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს თავმჯდომარის ამხ. **ხაჭაპურიძის** ხელის მოწერით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ.
თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევოლ. კომ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 14.
ტფილისი.—სასახლე.

შინაგან საქ. სახ. კომისარ.

დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა
№ 39.

განიხილა რა შუამდგომლობა გორის მაზრის რევოლუციონურ კომიტეტისა მაზრის ადმინისტრატიულ პუნკტებათ დაყოფის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: 1. რომ ერთის მხრით, გორის მაზრა ტეიტორიის სივრცით და მოსახლეობის რაოდენობით ერთი უდიდესი მაზრაა საქართველოს რესპუბლიკაში და 2. რომ, მეორე მხრით, გადაჭარბებული ადმინისტრატიული დეცენტრალიზაცია მეტად მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ხაზინას,—შინ. საქ. სახ. კომისარიატმა, იხელმძღვანელა რა ამა წლის 15 აპრილს გამოცემული საქ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკის რევოლუც. კომიტეტის დეკრეტის (23) პირველი თავის მე-4 § და მეორე თავის მე 2 § დაადგინა:

1. გორის მაზრა დაიყოს 13 **ადმინისტრატიულ** რაიონათ და 22 თემათ, თანახმათ იმ დადგენილებისა და სქემისა, რომელიც გორის მაზრის რევკომმა წარმოუდგინა დასამტკიცებლათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ამა წლის ივნისს.

2. ადმინისტრატიულ ცენტრებათ, რაიონებისა და თემების რეზიდენციათ ალიარებულ იქმნას ზემოდ აღნიშნული სქემაში ჩამოთვლილი პუნკტები და,

3. ასლები ამ დადგენილებისა გაეგზავნოს გორის მაზრის და სამხრეთ-ოსეთის ოლქის რევკომებს და აგრეთვე მილიციის მთავარ სამმართველოს და საინფორმაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას შინ. საქ. სახ. კომისარიატისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ხუტულაშვილი.**

საქმეთა მმართველი **ვ. ხახანაშვილი.**

ადმინ. ერთეულთა განყოფილების
გამგე **გრ. გველესიანი.**

1921 წ., აგვისტოს 30.

ცირკულიარი

ყველა სამაზრო რევკომს.

როგორც სახალხო სამხედრო და საზღვაო კომისარიატის 14 სექტემბრის და 3567 №-ის მომართვიდან სჩანს ამ უკანასკნელ ხანში ჯარის ერთეულების უფროსებიდან შტაბში შემოდის ცნობები, რომ რევკომის თავმჯდომარეები ხშირად აძლევენ მივლინებაში და შვებულებაში მყოფ წითელ არმიელთ მოწმობას, იმის შესახებ, რომ უკანასკნელნი ან ავადმყოფობის და ან სხვა მიზეზების გამო დროზედ ვერ გამოცხადნენ ნაწილებში; შემთხვევებია, რომ ამ გვარ მოწმობებს აძლევენ „დეზერტირებსაც"-კი.

შტაბი იღებს რა მხედველობაში, რომ ამნაირი საქციელით რევკომები აფერხებენ წითელ ჯარის შედგენას და საქმის დონეზედ დაყენებას, სთხოვს შინ. საქ. სახ. კომ. განკარგულებას, რათა დაუშვებელი იყოს რევკომების მხრივ წითელ არმიელებისათვის ამგვარი მოწმობების მიცემა, მით უმეტეს, რომ მათი მიცემული მოწმობები ჯარში არ ჩაითვლება საფუძვლიან საბუთად და წითელ არმიელებს კი შეიყვანენ შეცდომაში, რის გამოც უკანასკნელნი დროზედ გამოუცხადებლობის გამო იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი.

გატყობინებთ რა ზემოხსენებულს სასტიკად გიკრძალავთ ასეთი მოწმობების გაცემას, რაც ეცნობოს ყველა თქვენდამი ქვემდებარე რევკომებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ხუტულაშვილი.**

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგე **დ. ლამბაშიძე.**

1921 წ. სექტემბრის 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ე გ მ ა

სიღნაღის მაზრის რაიონებად და თემებად დაყოფისა.

№№ რიგი	დასახელება სათემო რევკომისა	დასახელება სოფლებისა, რომლებიც შედიან სათემო რევკომში.	რეზიდენცია თემის რევკომისა.	მანძილი თემიდან სოფლამდე.	რაიონების დასახელება	მანძილი რაიონიდან საზაზრო ცენტრამდე.
1.	ნუკრიანის რევკომი,	მაღარო, ნუკრიანი, ჭოტორი.				
2.	კაკაბეთი	ჩაილური, ჭერემი, კაკაბეთი,	კაკაბეთი.	3—8	ქოდალო	257
3.	ყანდაური,	ყანდაური, ახალ დიმიტრიევკა, შიბლიანი.	ყანდაურა.	8—4—4		
4.	არაშენდა	არაშენდა მელაანი, ზიარი, ფხოველი, ქოდალო,	არაშენდა.	4—2½—3—2½—1½		
5.	კაჭრეთი	ჯიმითი, ნანიანი, დარჩეთი.	კაჭრეთი.	2—1½—1		
6.	იორო-მუღანლო	ფალდო, დუზაგრამა, წიწმატიანი, ქეშალო, ლამბალო, თულარი.	იორო-მუღანლო	1½—1½—1½—2		
7.	გურჯაანი,	გურჯაანი, ვეჯინი.	გურჯაანი.	1½	გურჯაანი	25
8.	ველისციხე,	ველისციხე, მუკუზანი.	ველისციხე.	1		
9.	ბაკურციხე,	ბაკურციხე, კოლაკი.	ბაკურციხე.	2		
10.	ასაშენი,	ასაშენი, ჩუმლაყი, ზეგაანი.	ასაშენი.	6—1		
11.	ანაგა,		ანაგა.			
12.	ყარდანახი,		ყარდანახი.			
13.	ლაგოდეხი,	ლაგოდეხი, ცოდნა, შრომა, კოვშირი, განათლება, ფიხაილოვკა, გრაფოვკა, გუოგესიანი ხიზაბავოა.	ლაგოდეხი.	4—2—5—6—8—7—8	ლაგოდეხი	51
14.	ჭაბუკიანი,	ანანური, ლელიანი №-2, ქალქვა, ნამესრალი, მირსკისეული, ბალთა, ბრეგაძის უბანი, ბალდადი, აფენი, აფენი №-2. ფიდონი, ზ. ბოლქვი, ქ. ბოლქვი, ზ. ხოშატიანი, ქ. ხოშატიანი, არაშფერანი, ქევხიანი, ფიჩხის ბოგირო, გუჯარეთი, დაფნიანი, ვერხვის მინდორი. გიორგეთი.	ჭაბუკიანი.	1—1½—4½—4½—1½—3—1½—1¾—1½—1—1½—3½—1½—1½—3—3—2—2—5½—6—5—3—5		
15.	ვარდისუბანი,	ვარდისუბანი, ცოდნის კარი, ჩადგნიანი, სვიდობა, თამარიანი, მშვიდობა, ერეთის კარი, ივანოვკა.	ვარდისუბანი.	1—3—1—1—2		
16.	ბაისუბანი,	ზემო და ქვემო მსხალგორა, პატარა გორი, თელა, ბოლოკიანი, ყარსუბანი, ხელიკიანი, ნაწისქვილარი, ქართუბანი, ფინა, ზ. და ქვ. ჩაჩილები, ეშმაკის ყურე, კაბალი	ბაისუბანი.	2—1—1—2—6—5—6—5—1—4—6—4		
17.	წითელი წყარო,	წითელი წყარო, სვეჩნოვკა, ნიკოლაევკა.	წითელი წყარო.	½	შირაქი	
18.	ზემო-ქედი,	ზემო ქედი, ქვემო ქედი.	ზ. ქედი.			
19.	ტიბაანი,	ტიბაანი, პრასიანი, თხაანი.	ტიბაანი.	1—3	მაჩხაანი	
20.	საქობო	საქობო, მაშნაარი, ასანური, წნორის წყალი.	საქობო.	4—5—1½		
21.	ქვემო მაჩხაანი,	ქვ. მაჩხაანი, ფანიანი.	ქვ. მაჩხაანი.	1½		
22.	ზემო მაჩხაანი,		ზემო მაჩხაანი.			
23.	ბოდბის ხევი,	ბოდბის ხევი, ქედელი.	ბოდბისხევი.	1		
24.	მირზაანი,	მირზაანი, არბო, შიკი, კოტაანი, ცლუნკაანი.	მირზაანი.	2—2—4		
25.	კელმუჩური,	მიკელმეჩური, მაღარო, ალექსანდროვკა.	კელმუჩური.	6—3		
26.	ვაქირი,		ვაქირი.			
27.	ბოდბე,		ბოდბე.			
28.	ჯუგაანი,		ჯუგაანი.			

ცირკულიარი

ყველა მაზრის, ქალაქის, და ბათუმის მაზრის რევკომებს.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს მოდის ცნობები, რომ რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში არა ერთხელ ხდება, რომ მაზრის, რაიონის და თემის რევკომები თავის უფლებითა და განკარგულებით ახდენენ ადმინისტრატიულ ერთეულთა რეორგანიზაციას თუ ახალ ერთეულთა დაწესებით, თუ მათი დანაწილებით ტერიტორიალურად უფრო წვრილ ერთეულებზე, ან კიდევ რამდენიმე ერთეულთა შეერთებით.

ასეთი მოქმედება ადგილობრივი რევკომებისა, ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს (დროებით დებულება მაზრისა, ქალაქისა და თემის რევოლიუც. კომიტეტების ორგანიზაციისა —დეკრეტი № 23 საქ. საბ. სოკ. რესპ. რევოლ. კომიტ. მიერ გამოც. ა. წ. 15 აპრილს) და შეაქვს სახელმწიფო მშენებლობაში არა სასურველი არევ-დარევა. ადმინისტრატიულ ერთეულთა რეორგანიზაციის შესახებ ყოველგვარი საკითხი საქ. საბ. სოც. რეს. რევოლ. კომიტეტის, და არა ადგილობრივ ხელისუფალთა კომპეტენციას შეადგენს. უკანასკნელთ ასეთ საკითხების შესახებ მხოლოდ შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს, რასაც, რა თქმა უნდა, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც მკვიდრთა უმრავლესობის სურვილის გამომხატველ აქტს.

ვაქცევ რა თქვენს ყურადღებას დადგენილ წესის ზემო აღნიშნულ დარღვევაზე, წინადადებას გაძლევთ სათანადო განმარტებანი მისცეთ ყველა თქვენდამი ქვემდებარე ხელისუფლების ორგანოებს, რათა მათ სასტიკად დაიცვან მოთხოვნა კანონისა ადმინ. ერთეულთა რეორგანიზაციის საქმეში. ამასთანავე გაიფრთხილეთ, რომ დამრღვევნი კანონისა, თანახმად ზემოხსენებული დებულების მე-18 § ის უფლების გადამეტებისათვის პასუხს აგებენ რევოლიუციონური კანონის მთელი სიძკაცრით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ნ. სოკოლოვსკი.**

ადმინისტ. ერთეულთა განყოფილების
გამგე **გრ. ველესიანი.**

1921 წ. სექტემბრის 27.

ცირკულიარული გრძანება

მაზრისა და ქალაქის რევკომებს

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, ა. წ. 24 სექტემბერს № 3656, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატიდან შემოსული მოწერილობიდან სჩანს, რომ ლაშქრის სარდალს ხშირად მოსდის მოხსენებანი სამხედრო ნაწილების უფროსებისგან, რომ სოფლია, რაიონის და მაზრის რევკომები და ადმინისტრაციის ხელისუფალნი არღვევენ საქართველოს რევკომის დეკრეტს № 41, რომელსაც გათვალისწინებული აქვს წითელ არმიელთა ზოგიერთი უპირატესობა სხვა მოქალაქეებთან შედარებით.

სამხედრო და საზღვაო, შინაგან საქმეთა და სოციალურ უზ უზველყოფის ს ხალხო კომისარიატებისადმი ა. წ. 10 აგვისტოს № 260 საქართველოს რევკომის ბრძანებით ევ ლება საქართველოს უზუზველყოფის განყოფილებებს და ადგილობრივ რევკომებს, დაუყოვნებლივ და სიზუსტით იქმნეს გატარებული ცხოვრებაში დეკრეტის № 41 და ამით მიეცეს საშუალება წითელ არმიელებს გულდადებით იმსახურონ ჯარში; მაგრამ, დახმარების და დეკრეტის № 41 დაცვის მაგიერ, თვით რევკომები ყოველ ძალით ხლუდავენ წითელ არმიელების უფლებებს სხვა და სხვა ოკუპაციებ, კონფისკაციებ, ოჯახის გადაასახლება, ქონების ჩამორთმევა და სხ. რევკომების ამეთი საქმიანი იწვევს წითელ არმიელებში უკმაყოფილებას, საძულველობასადმი გულგრილობას და ხელს უწყობს დეზერტირობასაც.

ყოველივე ზევით აღნიშნულის მიხედვით, წინადადება ეძლევა ყველა ადგილობრივ რევკომს: სასტიკათ და სავსებით დაიცვას დეკრეტი № 41-ისა ყოველი ეუხლი, შეუფერებელ იქმნეს ყოველგვარი რეკვიზიცია, გადასახლება არმიელთა ოჯახის და სხ. უკანონო მოქმედება წითელ არმიელთა ქონების წინააღმდეგ და თუ დღემდე ჰქონდათ ადგილი დეკრეტი № 41 დარღვევას, დაუყოვნებლივ იყვნეს აღგვეცილი თავიანთ უფლებებში საქართველოს ყველა წითელი არმიელი.

ამ ცირკულიარული ბრძანების სისრულეში მოყვანა და მისი სავსებით შესრულება პირადი ანგარიშის ძგებლობის ქვეშ ევალება, როგორც მაზრის და ქალაქის, აგრეთვე რაიონისა და თემის რევკომების თავჯდომარეთ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოადგილე **ნ. სოკოლოვსკი.**

საინსტრუქტორო—საინფორმაციო განყ.
გამგე **ა. ლომბაშიძე.**

1921 წ. სექტემბრის 30.

მიწადმოქმედების სახ. კომის.

ნორმალური წესდება

სასოფლო სამეურნეო მწარმოებელ კომუნისა.

I. საერთო დებულებანი.

1. სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელ კომუნის მიზანია: თავის წევრთა შეერთებული შრომით და სახსრით ხელი შეუწყოს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას, შრომის განთავისუფლებას კერძო კაპიტალის ბატონობისაგან, გეგმით წარმოების მოწყობას და მთლიან საზოგადო მეურნეობის შექმნას, ძმობისა, თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველზე.

2. კომუნის წევრები აძლევენ კომუნას მთელ თავის ქონებას და მთელ თავის სამუშაო ძალას.

3. კომუნა მუშაობს სოფლის მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგში, მაგალითად მისდევს უმთავრესად ხვნა თესვას, ან ხვნა თესვას და მევენახეობ ს,ან მ ბალეობას, მერძეობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, ფრინველთა და ცხოველთა მოშენებას, მეთევზეობას და სხვას. გარდა ამისა კომუნა ცდილობს მოაწყოს ნედლი მასალის გადამუშავება, აგრეთვე შიწოდება და გადაცვლა ნაწარმოებისა.

4. შრომის ნაყოფიერების ასაწევათ, კომუნა ცდილობს შემოიღოს მეურნეობაში გაუმჯობესებული წესები და იარაღები.

5. კომუნა ზრუნავს თავის წევრთა გონებრივი და ხელობრივი წარმატებაზე და ცდილობს დაკმაყოფილოს მათი კულტურული მოთხოვნილებანი.

6. კომუნა შეძლებისამებრ შველის თავის წევრებს ყოველ მათ გაჭირვებაში.

7. კომუნა ცდილობს მოაწყოს საერთო შრომა და საერთო ცხოვრება თავის წევრთათვის: მაგალითად გამართავს საერთო ბინებს, საერთო სასადილოებს და სხვა.

8. კომუნა, ვითარცა სრული და მთლიანი საზოგადო სამეურნეო ერთეული და ჩანასახი გაერთიანებული სახალხო მეურნეობისა, ეხმარება არა მარტო წევრთა, არამედ საერთო კეთილ დღეობასაც, ასე მაგალითად: თავის ნაწარმოებს კომუნა აწვდის მთავრობას და ხალხს დაკლებულ ფასებში, ზოგჯერ უფასოდაც და მით ხელს უწყობს ცხოვრების გაადვილებას და საზოგადო ერთობის განმტკიცებას.

9. მთელი სამეურნეო შრომა კომუნისა ეთანხმება რესპუბლიკის საერთო საწარმოო გეგმას.

10. კომუნა შედის სასოფლო სამეურნეო კოლექტივების კავშირში.

11. კომუნა მოქმედებს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კონტროლის ქვეშ.

12. კომუნა სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

13. კომუნას აქვს საკუთარი ბეჭედი, სახელწოდების წარწერით.

14. კომუნა ვალდებულია დაიცვას და განამტკიცოს სოციალური რევოლიუციის საქმე ყოველი საშუალებით: მართალი სიტყვით, ღირსეული მაგალითის ჩვენებით და თუ საჭირო გახდა შეიარაღებული ბრძოლა რეაქციასთან, კომუნა მზათ უნდა იყოს ხალხური მთავრობის მოწოდებაზე, გამოვიდეს და თავი შესწიროს ბრძოლას სოციალურ რევოლიუციის გამარჯვებისათვის,

II. კომუნის სახსარი.

15. კომუნის სახსარს შეადგენს შეწირულება წევრთაგან, მთავრობისაგან და გარეშე პირთაგან, აგრეთვე პირობით მიღებული სახმარად მთავრობისგან თუ გარეშე პირთაგან, მიწა, საქმეშო საქონელი, იარაღი, მასალა და სხვა ქონება და თანხები, შემდეგ კომუნის ახსარს შეადგენს მისივე შრომით შექმნილი და მის განუყოფელ განკარგულებაში დარჩენილი ქონება.

შენიშვნა: სივრცე კომუნის მიწისა არ უნდა აღემატოს ადგილობრივ დადგენილებულ ნორმას.

16. კომუნისთვის სახმარად მიცემული მთავრობისაგან თუ გარეშე პირთაგან ქონება თუ თანხა ჩაირიცხება კომუნის ვალად, რომელიც უნდა გასტუმრებულ იქმნას თანახმად პირობის ან საერთო წესისა და ჩვეულებრივ სამართლიანობის თანახმად თუ პირობა გამოურკვეველია.

17. კომუნა ყველა თავის ვალდებულებაზედ აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით.

18. კომუნის წმინდა შემოსავალი ნაწილდება ასე: ქველმოქმედებისათვის და კულტურულ განმანათლებელ საქმეებისათვის 5%, სახელმწიფოსათვის დასახმარებლად 10%, კომუნის სახსართა გასაძლიერებლად 10%, ხოლო დანარჩენი განაწილდება წევრთა შორის მათი საჭიროების მიხედვით ან საერთოდ მოიხმარება მთელი კომუნის მიერ.

III. კომუნის შემადგენლობა, წევრთა უფლება და მოვალეობა.

19. კომუნაში წევრად შესვლა შეუძლია ყველა სრულ წლოვან პირს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ხელობისა

20. მიღება და გამორიცხვა წევრებისა ხდება საერთო კრების დადგენილებით.

21. კომუნის ყველა წევრი შრომობს პირადათ, კომუნის ყველა წევრს უნდა დაეკვალოს შეძლებისამებრ ის შრომა, რომლისთვის მას უფრო შესწევს უნარი.

22. კომუნას აქვს ნება მოიწვიოს რამდენიმე სპეციალისტი.

23. დაქირავებული შრომა კომუნაში საერთოთ დაუშვებელია, საჩქარო მუშაობისთვის როცა კომუნა ვერ აუვა საქმეს, შესაძლოა მუშების მოწვევა დასახმარებლად სამაგიეროს გადახდით ისევ სამუშაო ძალით. შესაძლოა აგრეთვე მიწვევა კომუნაში დროებით მონაწილეებისა, მაგრამ ეს დროებით მონაწილენი უნდა ჩაყენებულ იყვნენ უკეთეს პირობებში, ან თანასწორ პირობებში მაინც წევრებთან.

შენიშვნა: სპეციალისტების და დროებით მონაწილეების შრომის პირობებს განსაღვრავს სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილება, შრომის კანონების თანახმად.

24. კომუნის წევრს აქვს უფლება კომუნიდან თვისი ნებით გასვლისა.

25. გასულ ან გამორიცხულ წევრს კომუნა აკმაყოფილებს ნივთიერად, როგორც საერთო კრება სცნობს საჭიროთა და შესაძლოთ.

26. წევრი არ გამოირიცხება კომუნიდან, თუ იგი დაიკლდება კომუნაში მუშაობას რაიმე საპატიო მიზეზით. მაგალითად ჯარში გაწვევის, ან სხვა რომელიმე საზოგადო მოვალეობის ასრულების გამო და სხვა.

IV. წევრთა საერთო კრება.

27. კომუნას განაგებს წევრთა საერთო კრება და გამგეობა.

28. საერთო კრების სხდომაზე სდგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე, მდივანი და რამდენიმე წევრი.

V. გამგეობა.

29. კომუნის გამგეობა შესდგება 3 ან 5 პირისაგან, რომლსაც ირჩევს საერთო კრება; თუ კომუნა მცირე რიცხოვანია, იგი ირჩევს ერთ მეთაურს.

30. გამგეობას აღრიცხული უნდა ჰქონდეს ყოველი ქონება, რომელითაც სარგებლობს კომუნა, კომუნის შრომა და მისი ნაყოფი. საოჯახო სიკეთენი კომუნის წევრებისა. გამგეობა ადგენს კომუნის მეურნეობის გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვას, ანაწილებს საქმეებს წევრთა შორის და საერთოდ განაგებს კომუნის ყველა საქმეს, როგორც აღმასრულებელი ორგანო წევრთა საერთო კრებისა.

VI. ლიკვიდაცია.

31. კომუნის გაუქმება და მისი საქმეები სათანადო ლიკვიდაციისა შესაძლებელია მოხდეს საერთო კრების დადგენილებით, ან მიწათ-მოქმედების კომისარიატის განკარგულებით, თუ მოქმედება კომუნისა ეწინააღმდეგება წესდებას, ან ისეთ უზომო დავალიანებას გამო, როდესაც გადახდა ვალისა შეუძლებელია,

32. ლიკვიდაციის მოსახდენად საერთო კრება ირჩევს ლიკვიდაციო კომისიას.

33. ლიკვიდაციის დროს გასტანმრიბულ უნდა იქნეს ჯერ მთავრობისა და გარეშე პირთა ვალები და მხოლოდ მათი კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილ ქონებას მიეცემა საზოგადო დანიშნულება კომუნის საერთო კრების დადგენილებით და მიწათ-მოქმედების კომისარიატის დასტურით. კომუნის წევრებს რჩებათ კომუნის ქონებიდან მხოლოდ უსაჭიროესი საგნები პირადი ხმარებისა უმცირეს რაოდენობით.

წესები

სახოფლო-სამეურნეო ამხანაგობის თუ კომუნების დაარსებისათვის.

1. კომუნა თუ ამხანაგობა არსდება თანასწორთ დამოუკიდებელ წესდებისა (რომელიც მიღებული და სამტკიცებულია მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ).

შენიშვნა: კომუნას თუ ამხანაგობას შეუძლია ნორმალური წესდება შეცვალოს სხვა და სხვა პირობების მიხედვით. მხოლოდ ისე, რომ ნორმალური წესდების დედა-აზრი და მთავარი დებულებანი არ გაბათილდეს.

2. კომუნა თუ ამხანაგობისათვის სავალდებულოა რეგისტრაცია.

3. საერთო რეგისტრაციას რესპუბლიკაში აწარმოებს კოლექტიური მეურნეობის ნაწილი. მაზრებში ადგილობრივი რეგისტრაცია მინდობილი აქვს საადგილ-მამულო განყოფილებას.

4. კომუნა თუ ამხანაგობის რეგისტრაციაზე წარმოებს იმის შემდეგ, როცა კოლექტიურმა მეურნეობის ნაწილი, ან სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილება განიხილავს და მოიწონებს წარმოდგენილ წესდებას და სხვა სათანადო დოკუმენტებს.

შენიშვნა: სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილება წარმოდგენილ წესდებას უგზავნის კოლექტიურ მეურნეობის ნაწილს წესდების საბოლოოდ განსახილველად და საერთო რეესტრში შესატანათ.

5. კომუნამ თუ ამხანაგობამ უნდა წარადგინოს კოლექტიური მეურნეობის ნაწილში, ან სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებაში: 1) წესდება, 2) ცნობები წევრთა და მათი ოჯახური შემადგენლობის შესახებ, 3) კომუნის თუ ამხანაგობის უძრავ-მოძრავი ქონების სია და 4) სამეურნეო გეგმა. წარმოდგენილ ცნობებს ამოწმებს ადგილობრივ განხილვის შემდეგ სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილება ან კოლექტიური მეურნეობის ნაწილი ინსტრუქტორების საშუალებით.

6. წარმოდგენილ წესდებას საადგილ-მამულო განყოფილება განიხილავს ორი კვირის განმავლობაში და თუ რაიმე დაბრკოლება არ აღმოჩნდა, შეიტანს ადგილობრივ რეესტრში და ან უარს ეუბნება დამფუძნებელთ მიზეზის აღნიშვნით.

7. ცენტრალური კოლექტიური მეურნეობის ნაწილი ერთი თვის განმავლობაში არ შეიტანს წარმოდგენილ წესდებას საერთო რეესტრში, ან დასაბუთებულ უარს ეტყვის.

8. იურიდიულ პირის უფლებას კოლექტივები ღებულობენ იმის შემდეგ, როდესაც შეტანილ იქნებიან რესპუბლიკის საერთო რეესტრში.

9. იმ შემთხვევაში თუ კი მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებამ უარი უთხრა სამეურნეო კოლექტივის რეგისტრაციაში შეტანაზე, ამ უკანასკნელთ ეძლევათ უფლება საადგილ-მამულო განყოფილების მოქმედება განასაჩივრონ კოლექტიურ მეურნეობის ნაწილში.

10. კომუნის თუ ამხანაგობის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ მიწა ერთ ფარგალში, რაც კმაყოფილდება შეძლების დაგვარათ.

11. მთავრობა უხდის საჭირო კრედიტს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს სამეურნეო კოლექტივების დასახმარებლად წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვით.

აგრეთვე ეძლევა სამეურნეო იარაღებს, თესლს, მასალას და სხ.

შენიშვნა: სესხის მიცემის დროს უპირატესობა ეძლევა კომუნას.

12. სესხი მიეცემა იმ კომუნას თუ ამხანაგობას, რომელიც წარმოადგენს თავის მეურნეობის გეგმას და შემოსავალის და გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას.

13. სესხი შეიძლება იყოს მოკლე ვადიანი (ერთი წლის ვადით), და გრძელ ვადიანი (ხუთი წლის ვადით) ყოველ წლიურ ვადის გადახდით.

14. სესხს აბრუნებს კომუნა თუ ამხანაგობა ნატურით.

15. დახმარების აღმოჩენის რაოდენობას განსაზღვრავს ყოველ კერძო შემთხვევაში კოლექტიურ მეურნეობის ნაწილი.

16. ამხანაგობის თუ კომუნის წევრების არანაკლებ ნახევარი, უნდა შესდგებოდეს უმიწაწყლოან მცირე მიწის მფლობელთაგან.

17. კომუნას თუ ამხანაგობას ეძლევა მიწა თავისუფალ ადგილიდან.

არა-ოფიციალური განყოფილება.

შეიდოვის მაგალითები.

მმართველობის ადგილობრივ ორგანოების შეცდომები უმთავრესად ხდება მაშინ, როდესაც წესრიგში ქონებრივი და უფლებრივი ხასიათის საკითხები სდგას.

ეს ისეთი საქმეებია. რომლებშიაც ჯერაც ვერ გამორკვეულან ბევრნი. ეს იმიტომ ხდება, რომ, აშკარად უნდა ითქვას, ითლად უყურებენ საკითხს და შესაფერი მასალა ლიტერატურის და სათანადო საკანონმდებლო განმარტებებთან გასაცნობათ თავს რიდი იწუხებენ.

ამ დარგების შესათვისებლად-კი საჭირო და აუცილებელია მუდმივი თვალყურის დევნება ახალი ხელის-თლების უმაღლეს ორგანოთა მუშაობისა, შეწავლა და გათვალისწინება იმ ღრმა ცვლილებებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა როგორც რუსეთში, აგრეთვე ჩვენში, უმთავრესად ეკონომიურ საკითხებში და ამათთან დაკავშირებულ უფლებრივ დარგშიც.

მართალია, უკანასკნელ ხანებში ძლიერ გართულდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეკონომიურ-უფლებრივი საკითხების გადაჭრა, წამოყენებულია ახალ-ახალი ამოცანები, რომელთა შეთვისება საერთოდ ძნელია, მაგრამ კანონის უცოდინარობა ხომ ვერ შეამსუბუქებს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას!

ერთ-ერთ მაგალითს ასეთი შეცდომისა იძლევა გურიის ყოფილ თავადის დიმიტრი მაჭუტაძის სასახლის და კარ-მიდამოს ამბავი და ნიგოითის თემის რევკომის დამოკიდებულება მისთან.

გენსენებული თავადი დიმიტრი მაჭუტაძე ვერ ასცილდა ქართველ „კეთილშობილთა“ ბედსა და ტრადიციას, უანგარიშო ხარჯებმა გაიოცლა მას ხელიდან ათასეული დესეტინა მამული, ხეტუს მასალის საწყობები და ბოლოს თვით საცხოვრებელი სასახლე და კარ-მიდამოც, რომელიც მდებარეობს ს. ნიგოითში.

თავადმა ეს უკანასკნელი ქონებაც დაკარგა და, რადგან თავის დროზე ვერ დაიხსნა, — მამული შეჯიბრებით გაიყიდა, ჯერ ის შეიძინა მეღლიამ, ამ უკანასკნელმა კი მიჰყიდა წერეთელს, როგორც სრული საკუთრება. წერეთელი ს. ნიგოითში არ დასახლებულა. სასახლის კარები გამოკეტილი იყო და ოდესღაც ლამაზ თ მოწყობილი ნიგოითის კუთხე მოღლოდა ხელს მომვლელს და მპატრონებელს.

ასეთ უფლებრივ მდგომარეობაში დახვდა ყოფილ თავადის სასახლე და კარ-მიდამო ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ პოლიტიკურ ცვლილებას, რომლის პირველ საფეხურებში ეს საქმე განახილა, გასარჩევად და გადასწყვეტად წამოაყენა დიმიტრი მაჭუტაძის შვილმა — ბიქტორ მაჭუტაძემ.

სარწმუნოებრივ ფანატიზმით გატაცებულს თავადის შემკვდარეს წინეთ არ აინტერესებდა „ამ ქვეყნიური“, მან უარი სთქვა ერის კაცობაზე და მონასტრის მყუდრო ცხოვრებას მიენდო, ის ბერად შესდგა.

მაგრამ... ქვეყანაზე მუდმივი და უცვლელი ხომ არაფერია, იცვლება მოქ. მ. ჭუტაძის შეხედულებაც, ოცცვა ვედრებას ის მიჰყავს „ამ ქვეყნიურის“ ალიარებამდე, მაჭუტაძე უბრუნდება ძველ ცხოვრებას, ჩამოდის ს. ნიგოითში, დროებით ბინავდება მეზობლის ოჯახში, იწყებს ერის კაცობას და ფიქრობს ყანის დამუშავებით არსებობას.

თავის თავად ცხადია, რომ მშრომელ კაცისათვის სოფელში მიწაც არის საჭირო და ბინაც, მისი ასეთი სურვილი სრულიად კანონიერი და სამართლიანი იქნებოდა, რომ საკითხი უკულმა არ დაესვა, უკულმართობა გამოიხატა იმაში, რომ მან შუამდგომლობა აღძრა რევკომის წინაშე — „მამა-პაპეული სასახლე და ეზო დამიბრუნეთო“. მისი სათანადო არზა ოზურგეთის მაზრის რევკომმა გადმოუგზავნა ცნობების შესაგროებლათ ნიგოითის თემის რევკომს. როგორ მოიქცა თემის რევკომი? ეს იწვევს ს. ნიგოითის მცხოვრებთა კრებას. თემის რევკომის მოხსენებით, რომელსაც ზეპელი აკეთებს მიწის კომიტეტის წარმომადგენელი, — კრებას უნდა გადაეწყვიტა საკითხი — ჰქონდა თუ არა ბ. მაჭუტაძეს მამა-პაპეულ სასახლეში სრულ საკუთრების ნებადაზე შესვლის და ცხოვრების უფლება. სოფლელები შეედგენენ მ. ჯელლობას. სიტყვა აიღო ერთმა სოფელმა მუშამ, რომელმაც აღნიშნა, რომ „ბ. მაჭუტაძე სასუფეველი საეზობლო კაცია, სოფელსაც ესიამოვნება თუ ეს დასახლდება ნიგოითში, მაგრამ კრებას არ შეუძლია გადასწყვიტოს საკითხი მ. მა-პაპეულ კარ-მიდამოზე მისი უფლების შესახებ, რადგან ეს კრების უფლებას აღემატება“.

მიუხედავათ ასეთი სწორი და ნათელი შეხედულებისა, რევკომის ორმა წევრმა განაცხადეს, რომ კრებ ას ევალება გადასწყვიტოს სთელის თუ არა კანონიერათ და სამართლიანად მ. ჭუტაძის ჩასახლებას მამისეულ სასახლეში და ეზოში.

ზოგიერთები შეეკითხნენ რევკომის წევრებს თუ ვინ აყენებდა ასე საკითხს, მაზრის თუ თემის

რევკომის პასუხიდან გამოირკვა თითქოს ოზურგეთის მაზრის რევკომი სწორედ ასე უყურებდა საკითხს ნიგოითის სოფლის კრებას.

ამ განცხადების შემდეგ კრება სდუმს, ის კარგათ გრძნობს, რომ მას თავს ახვევენ პასუხისმგებლობას ისეთ საქმეში, რომლის გარჩევა-გადაჭრა სოფლის ყრილობის უფლება-კომპეტენციას აღემატება. ამის შემდეგ ერთი დამსწრეთაგანი უხსნის სოფლელებს, რომ მათ არა აქვთ უფლება ასეთი საქმეების არსებითად განხილვისა, რადგან ეს შეადგენს მხოლოდ სათანადო სახელმწიფო დაწესებულებების კომპეტენციას. ეფლებრივ საკითხებს უნდა სწყვეტდეს ადმინისტრატიული ორგანოები და სახალხო სასამართლო. სოფლის ყრილობას შეუძლიან გამოიტანოს მაჭუტაძის საქმის შესახებ ისეთი დადგენილება, რომელსაც მისთვის ეფრო მორალური ღირებულება და მნიშვნელობა ექნება. რევკომის წევრი, მიწის კომიტეტის თავმჯდომარე მაინც მოითხოვს სოფლელებისაგან—გადასწყვიტონ—სთვლიან თუ არა კანონიერად მაჭუტაძის შეამდგომლობას.

აღსანიშნავია, რომ კრებაზე არ წაუკითხავთ მაზრის რევკომის მოწერილობა, ისე, ზეპირეულ სიტყვიერი მოხსენება გააკეთეს.

ეხლა დიდი ბოლინა აქვს ადგილობრივ რევკომის წევრების აზრს სოფლელებს განაჩენზე და სწორედ ეს ით უნდა აიხსნას, რომ სოფლის კრებამ, თემის რევკომის მოთხოვნილებით ამ საქმის შესახებ გადასწყვიტა უფლებრივი საკითხი და დადგენილებით სამართლიანათ და კანონიერად სცნო ბ. მაჭუტაძის ჩასახლება. ჩვენ ვიცით, რომ დაბოლოს ეს დადგენილება არსებითად შეიცვალა.

კითხვა იბადება—როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მაზრის და თემის რევკომები, როდესაც მათ მიიღეს ბ. მაჭუტაძის შეამდგომლობა? თავის თავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საკითხი უნდა მოეგვარებიათ იმ დეკრეტის თანახმად, რომელიც ავალებს ადგილობრივ მიწის კომიტეტებს უმიწაწყლო გლეხებისათვის ნორმის მიხედვით შესაფერ ნაკვეთის მიზომვას. ბ. მაჭუტაძე უნდა დაეკმაყოფილებიათ მიწით სწორეთ ამ დეკრეტის მიხედვით და ეს უნდა გადაეწყვიტა მიწის კომიტეტს და არა სოფლის კრებას.

ცხადია, რომ ასეთი თავისი სურვილისა და შემთხვევით გავლენის მიხედვით უფლებრივ საკითხების ყირამალა გადაჭრიალებას მეტად ცუდი შედეგი მოჰყვება. ეს მიუტოვებელი შეცდომა არის ადგილობრივი მუშაკებისათვის, რომელებსაც პირდაპირ ხალხთან აქვთ საქმე და ამიტომ მათ ეკალიბათ მეტი უნარის და დაკვირვების გამოჩენა. ჩვენ ასე დაწვრილებით შევეხეთ მაჭუტაძის საქმეს საზოგადო მოსაზრებით, რადგან ამ საქმეში სამაგალითოდ გამოსჭვივის შემცდარი შეხედულება ადგილობრივ რევკომის წევრებისა თავის მოვალეობა-უფლებაზე.

სასურსათო გადასახადის კომპანია საქართველოში

საქართველოს საბჭოთა ხელის-უფლების სასურსათო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის საგადასახადო პოლიტიკასთან, ვინაიდან რესპუბლიკის სასურსათო ფონდის შექმნა უმთავრესად დამოკიდებული არის იმ ნატურალურ გადასახადის მოკრებაზე, რომელიც საქ. რევკომის მთელი რიგი დეკრეტებით დაწესებული არის ყოველგვარ საკვებ საგნებზე. ნატურალური გადასახადის საშუალებით შექმნილი სასურსათო ფონდი არის ერთად ერთი გზა სასურსათო კატასტროფიდან თავის დაღწევისა. როგორც სხვა შემთხვევაში ისე აქაც, შიმოქმედებისა და ალმშენებლობის ახალ გზაზე შემდგარი საბჭოთა საქართველო მაგალითს იღებს საბჭოთა რუსეთის გამოცდილებიდან.

თუმცა ნატურალური გადასახადი, თვისი არსებით, პირდაპირი დაბეგვრის უმარტივესი სახე იყო და ცხოვრებაში ტარდებოდა ყოველთვის და ყველგან, მაგრამ მისი საბჭოთა რესპუბლიკაში გატარების წესი და მასშტაბი არის სრულიად ახალი და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისათვის ჯერ არ გაგონილი. ჯერ ერთი იგი უნივერსალურია, რადგან ეხება ყველა საკვებ პროდუქტებს, რაიც საგანგებით გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს ახლანდელს მძიმე სასურსათო მდგომარეობას; მეორის მხრივ იგი პროგრესიულია, ე. ი. გადასახადის რაოდენობა იმდენად მეტია, რამდენად შეძლებულია დასაბეგრი პირი.

ამგვარად, ყველა დღემდე არსებულ გადასახადებისაგან იგი განსხვავდება მით, რომ მისი უმთავრესი სიმძიმე თავს აკეთებს არა ულარიბეს, არამედ მდიდარ და უზარბენველყოფილ მოქალაქეებს.

ბუნებრივია, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც მცხოვრებთა 80% სცხოვრობს სოფლად, სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების გადასახადისაგან შექმნილი სასურსათო ფონდი უმთავრესი დასაყრდენი უნდა იყოს სახელმწიფოსათვის.

ა. წ. ივლისში პუნქტზე, გადასახადის დაწესების შემდეგ, საქართველოს რევკომმა ამ დღეებში გამოსცა მთელი რიგი დეკრეტებისა ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გადასახადის დაწესების შესახებ. მათგან, ყველაზე მნიშვნელოვანია გადასახადი ღვინოსა და ხორცზე, რომლებიც, როგორც ყველა დანარჩენები, უმთავრესი შემადგენელი ნაწილები არიან სასურსათო გადასახადის ზოგადი ეგეგმისა.

რევკომის დეკრეტი № 70 ღვინის გადასახადის შემოსავალს განსაზღვრავს 5.00 ათას ვედროთი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთელი მიწის სივრცე, რომელიც საქართველ-

ლოში მეღვინეობას უჭირავს, უდრის 57 ათას დესეტინას და საერთო რაოდენობა ღვინის მოსავლისა უდრის 8 მილიონ ვედროს წელიწადში, აღნიშნული ციფრი დიდათ არ უნდა ვცნოთ. მეღვინეობის თვითეულ მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობა განისაზღვრება ვენახის სიერცისა და მისი მოსავლიანობის მიხედვით. თუ ვენახის მეურნეობის სიერცე არ აღემატება $^1/_5$ დესეტინას და მოსავალი ყოველ დესეტინაზე უდრის 150 ვედროზე ნაკლებს, ხოლო თუ მეურნეობის სიერცე არის არა უმეტეს $^1/_4$ დესეტინისა და ღვინის მოსავალი კი 125 ვედროს არ აღემატება, იგი გადასახადისაგან სრულიად თავისუფალია. დეკრეტით დაწესებული არის 95 განაკვეთი. თუმცა საქართველოს მევენახეთა უმრავლესობა წვრილ მეურნეობას ეკუთვნის—$^1/_2$ დესეტინამდე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გადასახადის პროგრესიულ ხასიათის გამო, ეს გადასახადი არ შეიძლება ჩაითვალოს მათთვის სამძიმოდ, რადგან მთელი შემოსავლის 6—10%-ს ან $^1/_{20}$ ნაწილს შეადგენს; უფრო მსხვილ მეურნისათვის კი 16—18%-დე.

საქართველო ერთი იშვიათი ქვეყანათაგანია იმ მხრივ, რომ მას აქვს ისეთი ძვირფასი დოვლათი და ისეთი მძლავრი ფაქტორი ხალხის კეთილდღეობისა, როგორც არის საქონელი (скот). საქონლით სიმდიდრის მხრივ საქართველო საუკეთესო პირობებში არის არა მარტო რუსეთთან შედარებით, არამედ სხვა მრავალ დასავლეთის ევროპასთან შედარებით.

1912 წ. აღწერილობის მიხედვით მსხვილ რქოსან და წვრილ საქონლის რაოდენობა საქართველოში შემდეგნაირად იყო განაწილებული:

	მცხოვრებთა 100 სულზე მოდის			
	მსხვილი	წვრილი	მსხვილი	წვრილი
ტფილისის გუბ.	789452	1660237	60	120
ქუთაისის გუბ.	317515	139228	32	14
ბათუმის ოლქი.	82193	85895	46	48
	საშუალოდ		46	60

ამგვარად, საქართველოს მცხოვრებთა ყოველ 100 სულზე 1912 წელში მოდიოდა 46 მსხვილი და 60 წვრილი საქონელი, რაიც ქვეყნის საუკეთესო მდგომარეობის მაჩვენებელია. ამ მხრივ იგი უახლოვდება დანიის და ბულგარეთის მდგომარეობას, რომლებიც საქონლის სიმდიდრის მიხედვით ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით წარმატებულ ქვეყნებათ ითვლებიან და სადაც მცხოვრებთა ასეთივე რაოდენობაზე მოდის 60—70 თავ საქონლამდე.

რასაკვირველია, ომმა და მისი შედეგებით გამოწვეულმა ნგრევამ სახალხო—მეურნეობაში, დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის ამ დოვლათზედაც, საგრძნობლად შემცირა იგი, მაგრამ არა იმდენად, რომ შეიძლებოდეს ლაპარაკი საქართველოს მსხვილი მესაქონლეობის კრიზისის შესახებ.

ჯერ კიდევ 1916 წელში მსხვილ რქოსანი საქონლის საერთო რაოდენობიდან $^1/_3$ იყო ძროხა და ფური, ე. ი. ყოველ მცხოვრებელზე 20 თავი საქონელი მოდიოდა, რაიც მოწმობს იმას, რომ ეს ფაქტორი სახელმწიფოს ეკონომიურ კეთილდღეობისა, მეტად საუკეთესო მდგომარეობაში არის.

ძნელია იმის გამორკვევა, თუ რამდენად იკლო საქართველოში ამ ჟამად ამ დოვლათმა, ვინაიდან ამ უკანასკნელ წლებში არავითარი აღვიცხვა არ სწარმოებდა, მაგრამ მაინც შეიძლება დაუშვათ, რომ მან იკლო 10—15 პროცენტით, რაიც, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი ეკონომიური ცხოვრების პირობების საერთო დანგრევა—დაშლას, არ არის იმდენად საგრძნობი.

მიუხედავად ამისა, საქართველოს რევკომის დეკრეტი (№ 73) ხორცის ნატურალურ გადასახადის შესახებ მეტად დაბალ განაკვეთებს აწესებს. ამ გადასახადის აკრების მიზნით დაწესებულია შვიდნაირი დარგი საქონლის თვისებურების და წონის მიხედვით. ამასთან ერთად, ეს განაკვეთები წესდება ერთი თავი საქონლის ძროხის ხორცზე გადატანით, ე. ი. ერთეულად არის აღებული ერთი ფუთი ძროხის ხორცი, რომელიც უდრის 30 გირვანქა ლორის ან ცხვრის ხორცს, 53 გირ. კამეჩისას, 13 $^1/_2$ გირ. ძროხის ერბოს და 26 გირ. მსუქან, ძროხის რძის ნაღებ მოუხდელ ყველს.

გადასახადის გადების იძულებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან იგი მეტად მცირეა. ასე, მაგ. ხარზე და ძროხაზე, თვისების სხვადასხვა მიხედვით, დაწესებული არის 2—6 გირვანქამდე ხორცი, კამეჩზე—$4^1/_2$, ლორზე—2 $^3/_4$. გოჭი, ფალა—ლორი და მეურნეობის ერთად-ერთი ხარები გადასახადიდან თავისუფლებიან.

გადასახადის ჩაბარება სწარმოებს ცოცხალი საქონლით, რისთვისაც რამოდენიმე გადამხდელი ერთდება ჯგუფებად და ერთმანეთთან შეთანხმებით თვითონვე სწყვეტენ იმ საკითხს, თუ ვისი საქონელი მისცენ გადასახადში. თვითონ გადამხდელებს ეძლევათ ნება გადასწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი წესითა და რიგით უნდა აანაზღაურონ გადამხდელებმა გადასახადში მიცემულ საქონლის ღირებულება.

საქართველოს რევკომის № 74 დეკრეტით დაწესებული არის გადასახადი რძის პროდუქტებზე. ამ პროდუქტების მხრივ, განსაკუთრებით ყველის წარმოების მხრივ საქართველო, ომამდე მაინც, მეტად საუკეთესო მდგომარეობაში იყო. ამ ჟამად ამ წარმოების მდგომარეობის შესახებ სწორი ცნობები, რასაკვირველია, არ არის.

მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველის წარმოება ამ ჟამად თითქმის აღარაობამდე დავიდა. ხოლო ომამდე კი ეს წარმოების დარგი მეტად საუკეთესო განვითარების პირობებში იყო და ფრიად დიდ იმედებს იძლეოდა მომავლისათვის.

1913 წლის ცნობების მიხედვით მხოლოდ ბორჩალოს მაზრაში ყველის წარმოება 24 ათას ფუთს აღწევდა, ახალქალაქის მაზრაში—3 ათას ფუთს; ხოლო საქართველოს ყველა მაზრებში კი ყველის წარმოება უდრიდა 70 ათასი ფუთს რაიც ფრიად დიდი ციფრია, თუ ეხედველობაში მივიღებთ იმ გაოემოებას, რომ ამ პროდუქტის წარმოება მთელს რუსეთში და ფილანდიაში უდრიდა 200 ათას ფუთს. ამ ჟამად კი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ოომ ყველის წარმოება საქართველოში აღწევს მხოლოდ 6 ათას ფუთს წელიწადში.

სამწუხაროდ, ცნობები ერბოს წარმოების შესახებ არ მოგვეპოოება. დეკრეტი, აწესებს რა ნატურალურ გადასახადს რძის პროდუქტებზე, მხედველობაში იღებს არა ამ უკანასკნელის სამრეწველო წარმოებას, არამედ იმ რძის პროდუქტებს, რომლის წარმოებასაც ეწევა ის მეურნეობა, რომელსაც ყავს მსხვილი რქოსანი და წვრილი საქონელი. თუ მეურნეოაბაში არის 1 ძროხაზე და 10 ცხვარზე მეტი, დეკრეტი გულისხმოის რძის პროდუქტების წარმოებას და აწესებს გადასახადს. და თუ მეურნეობაში ამაზე ნაკლები საქონელია, იგი სოულიად თავისუფლდება გადასახადისაგან.

ხარებისა და ცხვრების პატრონებს გადასახადი ხდებათ ძიუხედავად ძათი ადგილ-მყოფელობისა, ე. ი. სოფლებში, ქალაქებში და სხ. გადასახადის აკრეფის მიზნით ძთელს რესპუბლიკაძი წესდება 5 რაიონი და 4 სამეურნეო ჯგუფი ყოველ რაიონში იმის მიხედვით თუ რამდენი თავი ძროხაა თვითეულ მეურნეობაში. ამასთან ერთად, ძროხის რძის პროდუქტების გადასახადის განაკვეთი უნდა დაწესდეს რძის ყოველი პროდუქტის შეფასებით დასავლეთ საქართველოსთვის (რომელიც გადასახადის ძხრივ პიოველი რაიონია) მსუქან, ძროხის რძის ნაღებ-მოუხდელ ყველთან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსთვის კი (რომელშიაც შედის მე—2, 3, 4 და 5 საგადასახადო რაიონი) ძოოხის ერბოსთან.

ეს განაკვეთები მეტად ზომიერი რაოდენობისაა: ყველის გადასახადი დაწესებულია იმის მიხედვით, თუ რამდენი თავი საქონელია მეურნეობაში —2—4 გირვანქამდე დასავლეთ საქართველოში, ძროხის ერბოთი კი ყოველ თავ საქონელზე 2—7 გირვანქამდე აღმოსავლეთ საქართველოში. ცხვრის მეურნეობისათვის დაწესებული არის 5 ჯგუფი და დადებული არის $^1/_4$—1 გირ.—დე გადასაადი მსუქანი ცხვრის ყველი თვითეულ თაკ ცხვარზე. გადასახადის გადამხდელებს ენიჭებათ უფლება, რომ ერთი საგადასახადო პროდუქტი შესცვალონ მეორეთი დაწესებულ ნორმების მიხედვით.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზედაც არის დაწესებული გადასახადი. მათ შორის უპირველესად ყოვლისა კართოფილის და ბოსტნეულის ნაწარმოებებზე (საქართველოს რევკომის № 71 დეკრეტით).

კართოფილის წარმოება მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტორია სახალხო მეურნეობის მხრივ, რომ იგი არის ისეთი პროდუქტი, რომელიც ავსებს პურის ნაკლებობას და თუ ეს უკანასკნელი არ მოეპოება ხალხს, კართოფილი იხმარება ძის ნაცვლად.

სამწუხაროდ, კართოფილის წარმოებამ საქართველოში მხოლოდ ომის წინა ხანებში ძიილო სამრეწველო ხასიათი და არასდროს არ იყო საკმარისი ჩვენი ქვეყნისათვის. ეს ნაკლებობა იკსებოდა იმით, რომ რუსეთიდან და სოოხეთიდან შემოქონდათ 250 ათას ფუთამდე.

რუსეთის ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის ცნობებით 1913 წელში კართოფილის წარმოება საქართველოში აღწევდა შემდეგ რაოდენობას:

	დათესილ დესეტ. რაოდენობა.	შემოსავალი
ტფილისის გუბერ. .	6000	2550 ათასი ფ.
ქუთაისის გუბერ. .	380	70 ათასი ფ.
სოხუმის ოლქ. . .	107	30 ათასი ფ.

თუმცა ზემო მოყვანილი ცნობები არ არის სრული და სწორი, მაგრამ თუ ძივიღებთ მხედველობაში დათესილ სივრცის მნიშვნელოვნად შემცირებას და იმ გარემოებას, რომ ეს პროდუქტი არ შემოქონდათ საქართველოში, ჩვენ შეგვიძლია განსაზღვრული წარმოდგენა ვიქონიოთ რესპუბლიკაში ამ დოვლათის რაოდენობის შესახებ.

რევკომის დეკრეტის მიხედვით კართოფილის ნატურალურ გადასახადის რაოდენობა განისაზღვრება კართოფილის ნათესის სივრცისა და ამა თუ იმ ადგილის მოსავლიანობის მიხედვით. მოსავლიანობის რაოდენობის მიხედვით დაწესებულია 4 კატეგორია. ამასთან ერთად კართოფილის გადასახადის განაკვეთი დაწესებულია ნათესი კართოფილის ერთ დესეტინაზე 25—60 ფუთამდე.

გადასახადის გადამხდელებს უფლება ეძლევათ, თუ ამის ნებას დართავს სასურსათო სახალხო კომისარიატი, შესცვალონ კართოფილი პურით, ბოსტნეულით, ფეხვ-ნაყოფი ჯიშის პროდუქტით და სხ. გამოქვეყნებულ ნორმების მიხედვით.

რაც შეეხება ბოსტნეულობას, ამ პროდუქტების წარმოების სწორი ცნობები არ მოგვეპოება.

ბოსტნეულის საშუალო ყოველწლიური გატანის რაოდენობა დასავლეთ საქართველოდან 1910—1915 წლებში შეადგენს 255 ათას ფუთს, აღმოსავლეთ საქართველოდან—850 ათას ფუთს.

ბოსტნეულის სივრცე კი 1917 წლის აღწერის მიხედვით განისაზღვრებოდა 1217 დეს. ეს ციფრი არ შეიძლება ჩავთვალოთ სწორ ციფრად; იგი გაცილებით ნაკლები უნდა იყოს იმაზე, რამდენიც ნამდვილად იყო დათესილი, ვინაიდან იმ აღწერის დროს არ იყო მიღებული ანგარიშში მრავალი კარ-მიდამოს ბოსტნები.

საქართველოს ბოსტნეულის სივრცე, რაც გინდ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ითქვას, რომ წარსულთან შედარებით ნაკლებია, ვინაიდან ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში შემჩნეულია ტენდენცია იმისა, რომ რაც შეიძლება გაადიდონ კარ-მიდამოს ბოსტნები. ასეთი ტენდენცია ბოსტნეულის სივრცის გაფართოებისა ემჩნევა როგორც ქალაქს, ისე სოფელს.

დეკრეტის ძალით ბოსტნეულის გადასახადი დადებულია როგორც საბოსტნო, ისე საბაღოსნო მეურნეობაზე, როგორც ქალაქში, ისე სოფელში. ამასთან ერთად, ის მეურნეობა, რომლის სივრცე 1/8 დესეტინაზე მეტი არ არის, გადასახადისაგან თავისუფალია. ბოსტნეულის რაოდენობა განისაზღვრება მთელი იმ მეურნეობის სივრცის მიხედვით, რომელიც უჭირავს ბოსტნეულობას. დაწესებული არის მეურნეობის ხუთი ჯგუფი მეურნეობის სივრცის რაოდენობისა და მისი ადგილ-მდებარეობის მიხედვით.

ბოსტნეულის გადასახადის განაკვეთი, თვითეულ დესეტინაზე, დაწესებულია ყოველგვარ ბოსტნეულის კომბოსტოსთან შეფარდებით, ე. ი. ერთეულად აღებული არის 1 ფუთი კომბოსტო, რომელიც უდრის: 20 გირვანქა ჭარხალს, 30 გირვანქა კართოფილს, 8 გირვანქა ლობიოს, 10 გირ. ხახვს, 5 გირ. გოგრას და 8 გირ. ნიორს.

გადასახადის რაოდენობა, რომელიც დაწესებული არის მეურნეობის სიდიდის და ჯგუფის მიხედვით, განისაზღვრება 40—120 ფუთ. ყოველ დესეტინაზე.

რაც შეეხება გადასახადს ხილზე, რომელიც დადებული არის საქართველოს რევკომის დეკრეტით (№ 72) თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთან შედარებით ძალიან ცოტა ქვეყნებს შეუძლიათ იამაყონ ხილის მრავალგვარობით და სიდიდრით. სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო წარმოადგენს ერთს განუწყვეტელ ბაღს, სადაც მთელი წლის უმეტეს ნაწილში მოდის მრავალგვარი ხილი.

სამწუხაროდ, წარმოების ამ დარგის შესახებაც არ მოგვეპოვება სწორი ცნობები და იძულებული ვხდებით ვიხელმძღვანელოთ ისეთი ცნობებით, რომლებიც სინამდვილეს სავსებით ვერ გამოხატავენ.

1909—1915 წლების განმავლობაში საშუალოდ, ყოველ წლიურად რკინის გზებით გაზიდული არის 380 ათასი ფუთი გამხმარი ხილი უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოდან (79%).

ბაღების სივრცე კი ომიანობის წინა ხანის ცნობების მიხედვით, გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში:

ტფილისის გუბ.—3566 დეს.
ქუთაისის გუბ.—3279 დეს.
სოხუმის ოლქი—501 დეს.
სულ 7346 დეს.

უეჭველია, რომ ეს ცნობები სწორი არ არის, ვინაიდან იგი არ შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის მთელს იმ ტერიტორიას, სადაც ხილეულობა მოდის.

ჩვენი რესპუბლიკის ხილეულის რაოდენობა საკმაოდ დიდია.

ხილეულობის მოსავლიანობის საშუალო რაოდენობა დაახლოებით შემდეგის ციფრებით განისაზღვრება:

ადგილობრივი ჯიშის ვაშლის ხე წელიწადში იძლევა 60—80 ფუთამდე.

ევროპიული ჯიშის ვაშლის ხე—15—20 ფუთამდე, მსხალის ხე—10 ფუთამდე.

დეკრეტის ძალით გადასახადი დადებული არის ყველა სოფლის, ქალაქის და სხ. მეურნეობაზე, სადაც მოიპოვება ვაშლის, მსხალის და კაკლის განაშენი. ის მეურნეობა, სადაც ვაშლის და მსხალის მოსავალის რაოდენობა 1921 წ. 10 ფუთს, ხოლო კაკლის და თხილის რაოდენობა 5 ფუთს არ აღემატება, გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

თუ მეურნეობაში ხილის ხმობას სამრეწველო ხასიათი აქვს, ე. ი. თუ ხილს ახმობენ გასასყიდათ, მაშინ გადასახადის გამღებნი ვალდებულნი არიან გადასახადი გაიღონ გამხმარი ხილით, დაწესებული ნორმების მიხედვით, ე. ი. იმ ანკარიშით, რომ 1 ფუთი ნედლი მსხალი ან ვაშლი ითვლება ერთეულად და უდრის: 5 გირ. კან-გაფცქვნილს და გულ და კურკა ამოღებულს და 7 გირ. გაუფცქვნელ ვაშლს. ასეთი ნორმა არის დაწესებული ყველა სხვა ხილეულის მიმართ.

ხილის გადასახადის ასაკრებათ დაწესებული არის 11 სამეურნეო ჯგუფი, 1921 წ. ამა თუ იმ მთელი მეურნეობის ყოველგვარი ჯიშის ვაშლისა და მსხლის საერთო მოსავლიანობის მიხედვით. კაკლის გადასახადისათვის კი დაწესებული არის 8 სამეურნეო ჯგუფი.

ამგვარად, გადასახადი ხილზე დადებული არის 1—28 ფუთამდე, კაკალზე და თხილზე კი 20 გირ. 14 ფუთამდე ხილის მოსავლის რაოდენობის მიხედვით მიმდინარე წელში.

ყველა სასურსათო გადასახადის შესახებ გამოქვეყნებული დეკრეტები შედიან სასურსათო გადასახადის კომპანიის ერთს მთლიანს გეგმაში, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაწესებული არის იმ მიზნით, რომ თავი დააღწიოს მძიმე სასურსათო კრიზისს და შექმნას განსაზღვრული ეკონომიური ფონდი.

ეს სასურსათო გადასახადის კომპანია რათაც არ უნდა დაჯდეს, სასურველად უნდა ჩატარდეს, ვინაიდან მასზე არის დამოკიდებული ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის აღმშენებლობის საქმე.

სასურსათო გადასახადის პროგრესიულობა და მისი განაკვეთების ზომიერობა საუკეთესო თავმდები არის სასურსათო კომპანიის სასურველად ჩატარებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ გადასახადის გამღებნი სრულის შეგნებით მოეკიდებიან თავისი მოვალეობის ასრულებას და სრულად და თავის დროზე შეიტანენ გადასახადს მთავრობის სათანადო ორგანოებში; მათ უნდა ახსოვდეთ—,რომ ისინი ამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო თავის მოვალეობას ასრულებენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე, არამედ უმეშველო მონაწილენი ხდებიან ახალგაზრდა რესპუბლიკის აღმშენებლობის მძიმე საქმიანობისა.

თვით გადასახადის განაკვეთები კი იმდენად ზომიერია, რომ შეუძლებელია ლაპარაკი მისი გადახდის სიძნელეზე. იმედი უნდა გვქონდეს, რომ დეკრეტებში გამოქვეყნებული დასასჯელი ზომები, გადასახადის გამღებთა მიმართ გადასახადის არა სისწორით და არა კეთილ-სინდისიერად ასრულებისათვის, გამოყენებული არ იქნება.

ლ. სარაჯიშვილი.

ლტოლვილების მოძრაობა და მათი რეევაკუაციის საქმე ჩვენში.

II

წინა წერილში მე აღვნიშნე, რომ საქართველოს ცენტრალური ლტოლვილთა სამმართველო დაარსებულ იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან. ეხლა გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული სამმართველო დაარსებულია როგორც ცალკე დამოუკიდებელი დაწესებულება, რომელსაც დავალებული აქვს ლტოლვილთა რეევაკაუციის საქმის მოწესრიგება და რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია.

ამას გარდა ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოსთან დაარსებულია კოლეგია, რომელშიაც წევრებათ შედიან წარმომადგენლები: სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, რკინის გზების სამმართველოსი, საქართველოს საგანგებო კომისიისა და აგრეთვე გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისა. კოლეგიის სხდომებზე თავმჯდომარეობს საევაკუაციო სამმართველოს გამგე, რომელიც ამავე დროს არის შ. ს. ს. კ. კოლეგიის წევრიც.

ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს ევალება: ა) მცხოვრებთა ყოველგვარი მასიური გადაყვან-გადმოყვანის მოწყობა (გარდა სამხედრო დანიშნულებისა), ბ) ლტოლვილებისა, ტყვეებისა და სხვა გადმოსახლებულთა რეევაკუაციის საქმის მოწესრიგება და გ) ყველა აღნიშნულ კატეგორიების დაკმაყოფილება: სანიტარული და საექიმო დახმარებით, საკვების მიცემით და აგრეთვე ბინით.

საევაკუაციო სამმართველოს აქვს სამი განყოფილება: 1) ადმინისტრატიული, რომელიც აწესებს და განაგებს პუნქტების საქმეს, 2) საევაკუაციო-სატრანსპორტო, რომელსაც ევალება გამორკვევა გადასაყვანთა რაოდენობისა, მათი აღრიცხვა, ხელმძღვანელობა და კონტროლის გაწევა ტყვეების გაცვლის და ლტოლვილების გადაყვანის საქმეში და 3) მომარაგების განყოფილება, რომელიც განაგებს ცენტრალურ სამმართველოს სამეურნეო საქმეებს.

ცენტრალური სამმართველო უკვე შეუდგა მუშაობას და მოქმედების დასაწყისშივე იგი გაეცნო ყველა იმ ადგილებს, სადაც საჭირო იყო მოწყობა ადგილობრივი დაწესებულებებისა, როგორც არიან: სარაიონო პუნქტები, ღამის სათევი სახლები და სხვ.

ადგილობრივ დაწესებულებათა გახსნა დამოკიდებულია ამა თუ იმ რაიონში თავმოყრილ ლტოლვილთა რიცხვზე და იმ ცნობების მიხედვით, რომელიც სამმართველოს განკარგულებაში იყო, ამ უკანასკნელს განზრახული ქონდა გაეხსნა: ნავთლულში—საექიმო და საკვები პუნქტი და ხაშურში და ბათუმში—სარაიონო, საექიმო და საკვები პუნქტები. ქუთაისში, ფოთში, ახალციხეში, ახალქალაქში, აშაგა-სარალში (ბორჩალო), თელავში, სიღნაღში და გორში სარაიონო პუნქტები, ხოლო ყაზბეგში, სალ-ოღლში, ლაგოდეხში და მცხეთაში საემისარო პუნქტები. განზრახული იყო აგრეთვე ქ. თბილისში ცალკე საევაკუაციო ბიუროს დაარსება, სადგურის ახლოს.

ამ დაწესებულებებს ევალებათ თვალყურის დევნება ლტოლვილთა მოძრაობისადმი განსაზღვრულ რაიონში, მათი რეგისტრაცია და მოვლა-გამოკვება და ბოლოს გადაყვანა საცხოვრებელ ადგილებში ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს ჩვენებით და კარნახით.

აქედან მკითხველი ადვილათ დაინახავს, რომ საქართველოს ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველომ მუშაობას მიჰყო ხელი ფართო მასშტაბით და ლტოლვილთა რეევაკუციის საკითხი ჩქარის ტემპით ამოძრავდა.

ჩამოთვლილ ადგილებში ზოგი პუნქტები უკვე გახსნილი არის და მუშაობაც დაწყებული.

ცენტრალური სამმართველოს ფაქტიურ მუშაობას აქვს სულ ოთხიოდე თვის ისტორია და ამ დროის განმავლობაში, მიუხედავად სხვა და სხვა დაბრკოლებებისა, მან მაინც შესძლო გადაეგზავნა საქართველოდან რამოდენიმე ათასი ლტოლვილი.

სულ გადაგზავნილი არის მარტო თბილისიდან: რუსები 657 სული, პოლონელები 703, სომხები 847, ებრაელები 43, ლატიშები 7, ეზიდები და ბერძნები 549, ნემცები 27, უკრაინელები 8, მოლოკანი 12, ქართველი 5, ლიტველები 41, ავსტრიელები 13, ოსები 2, ჩეხოსლოვაკები 3, ასირიელები 46, თათრები 3289, კარაიშები 16 და აისორები 73—სულ 6427 სული.

ამას გარდა ბათუმიდან გადაგზავნილ იქნა ოთხი ათას კაცზე მეტი, რომელთა უმრავლესობას შეადგენს სომხები, ბერძნები და თათრები და რომელთა უმთავრესი ნაწილი გაიგზავნა სომხეთსა და ოსმალეთში. სულ გაგზავნილია 6427+4000—10427 სული.

ცალკე ცხრილით ტოლოლილთა რეევაკუაციის მდგომარეობა დაახლოვებით გამოიხატება შემდეგში:

სულ გაგზავნილია 10437 კაცი და ქალი, მათ შორის:

ეროვნების მიხედვით. / სად გაიგზავნა და რამდენი	რუსეთში	პოლონეთში	სომხეთში	ლატვიაში	გერმანიაში	უკრაინაში	ლიტვაში	ავსტრო-უნგრეთში	საბერძნეთში	ესტონიაში	ჩეხო-სლოვაკიაში	ოსეთში	სპარსეთში	ჯამი
რუსი	754	2												756
სომეხი	15	2	1332									1500		2849
ებრაელი	33	10											10	53
ესტონელი										35				35
პოლონელი		764								3				767
ებიდები			742											742
ლიტველი							41							41
მუსულმანები	5		300						200			4289	17	4811
ბერძნები	2								14					16
ნემეცები					77									77
ავსტრიელი								63						63
ლატშები				7										7
უკრაინელები						8								8
მალაკნები	42													42
ქართველი	5													5
ოსები	2													2
აისორები			73						15					88
კარაიმები	16													16
ასირიელები													46	46
ჩეხო-სლოვაკები											3			3
ს უ ლ	874	778	2447	7	77	8	41	63	229	38	3	5789	73	10,427

შენიშვნა: ა) რუსეთში გაგზავნილთა რიცხვში შედიან ყველა ის პიოები, რომელნიც გაიგზავნენ: ტაშკენტში, სამარკანდში, აღმოსავლეთ ციმბიროში და სხვ.

ბ) დაახლოვებით ხსენებულ ლტოლვილთა გადასაგზავნათ საჭირო იყო 347 ვაგონი.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ლტოლვილთა გამგზავრება ხდებოდა უმთავრესათ ჯგუფობრივი წესით: თითო ვაგონ თ ოცდაათი კაცი.

თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც ცენტრალური საევაკუაციო სამმართველო ზ ვიერთ ლტოლვილებს აგზავნიდა ჯგუფობ ივი წ სის გარ შეც.

მიუხედავად იმ სა, რომ ამ მ ოკლე დროის განმავლობაში ლტოლვილთა ცენტრალურ სამმართველოს მეოხებ თ საქართველოდან გადაგზავნილ იქნა შესამჩნევ რიცხვი ლტოლვილ ბისა—11 ათას კაცამდე, საქართველოშ ამ ჟამათ ძაინც დიდძალი ლტოლვილები არიან შემოხიზნული და მთავარ სამმართველოს დიდი ენერგია და შრომა დასჭირდება მათი გაგზავნისათვის.

სამმართველოს ცნობებ აქვს, რომ სადგურ ამაგასარალში და საერთო ბორჩალოს მაზრაში თავმოყრილია რამოდენიმე ათასი ლტოლვილები—უმთავრესათ სომხები და თაორები. ამდენივე იქნება ბათომშიც. დიდი ნაწილი ლტოლვილებისა აოის თავმოყრ ლი აგრეთვე თბილ შიც.

ლტოლვილ ბის მდგომარეობა ჰიგიენურ-სანიტარულისა, ეკონომიურისა და სხვა მხრ თ ძალიან ცუდ ა და საჭირეთ ამის-თვისაა საჭირო: რომ რეევაკუ ციის საქმეს მ ქეს გ ნსაკუთრებული ყურადღება. ამისთვის არ უნდა იქნას დაზოგილი არც ფული, არც დრო და არც ენერგია. ამას მო თხოვს ჩვენი ქვეყნის ინ ერეს ბი.

ბ. შენგელია.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის მიერ მიღებული ახალი გზა ეკონომიური პოლიტიკის სფეროში ბევრ გაუგებრობას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთისათვის გაუგებარი ხდება ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხაზის და გზის ძირითადი საფუძვლები და მიზანი. ზოგიერთს ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნამდვილი მიზანი და შინაარსი საეჭვოდ ეჩვენება და ზოგიერთ ში ხედავს სოციალისტურ გზიდან გადახვევას და კომუნიზმის დარღვევას. „იზვესტიის“ 1921-ის № 208 ში მოთავსებულია მეტად საყურადღებო წერილი ამხ. ი. სტალინისა, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საფუძვლებს ამ. ზნებს. მოგვყავს მისი თარგმანი:

„არა ერთხელ აღნიშნულა პრესაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების ახალი პოლიტიკა გაუგებარი ზარმა არა მარტო უპარტიოთათვის, არამედ თვით ზოგიერთ კომუნისტურ პარტიის წევრთათვისაც. ჩვენ ოდესღაც აღნიშნეთ, რომ საბჭოთა მთავრობის ეგრედ წოდებული ახალი პოლიტიკა კომუნიზმის ტრადიციული პოლიტიკა არის წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის შიმართ, რომ იგი ოდესღაც დასახული იყო „კომუნისტურ მანიფესტში“ 1847 წელში, რომ იგი განვითარებული იყო ენგელსისა და კაუცკის (ომის წინა პერიოდის) თხზულებებში, რომ მას ჭეშმარიტ ნინ ოთრანგი კომუნისტები და სხ. და თუ ისეთი ამხანაგები მოიპოვებიან, რომლებიც ამაში ხედავენ რაღაც არ ნახული და არ გაგონილ ახალ რამეს, თითქმის წინააღმდეგს კომუნიზმის ძირითად პრინციპებისა ს მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ისინი ცოდვად იცნობენ კომუნისტურ პროგრამის განვითარების ისტორიას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის, ანუ ოდესღაც ვთქვათ, კომუნისტურ ეკონომიურ პოლიტიკის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმ წესში, რომ ღასაც სახელმძღვანელოდ სახავდა ჯერ კიდევ „კომუნისტური მანიფესტი“.

პროლეტარიატი, როგორც კი ხელში აიღებს სახელმწიფოებრივ ძალა-ფლებას, უპირველესად ყოვლისა, უნდა შეიცადოს შრომის ნაყოფიერების აწევას და მატერიალურ დოვლათის რაოდენობის გამრავლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან ეკონომიური გამართლება უნდა მისცეს სოციალურ გადატრიალებს. ისტორიაში ერთი რეჟიმი სცვლიდა მეორეს; ამასთან, ყოველი ახალი რეჟიმი, სამეურნეო თვალსაზრისით, ყოველთვის უკეთესი და ნაყოფიერი იყო წინანდელთან შედარებით. ეს არის თავმდები ახალი კლასის პოლიტიკური ბატონობისა. არც ერთ კლასს უამისოდ არ შეუძლიან პოლიტიკური ძალა-ფლების ხანგრძლივად შენარჩუნება. მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრების მიზნით, ჩვენი მეურნეობა უნდა ავწიოთ ნაყოფიერების უმაღლეს საფეხურზე და ის მატერიალური დოვლათი კი, რომელიც საზოგადოების განკარგულებაშია, უნდა გავამრავლოთ.

სწორედ, უმთავრესად ამ მიზანს ემსახურება საბჭოთა მთავრობის ახალი ეკონომიური პოლიტიკა. მხედველობაში იღებს რა განვლილ სამი წლის გამოცდილებას, მან ამ მიზნის მისაღწევ გზად დაისახა ადგილობრივ ორგანოების, კოლექტივების და ცალკე მწარმოებლების ინიციატივის და თვითმოქმედების განვითარება. ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობამ, სახალხო-მეურნეობის ნაყოფიერების აწევის მიზნით, დაუთმო როგორც სახალხო მეურნეობის, ისე მრეწველობის მწარმოებელთა პირად ინტერესებს. მაგრამ, ისე როგორც ბრძენი ხელმძღვანელი, საჭიროებრივი თვალსაზრისზე მდგომი, საბჭოთა მთავრობა სცდილობს მიაღწიოს დასახულ ამოცანებს, იმ გზით, რომ გონიერი შეჩამება მოახდინოს ცალკე მოქალაქეთა პირად ინტერესისა და საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესების მჭიდრო ჯგუფებს შორის. სწორედ ასეთი აზრი აქვს ჟანასანილ პერიოდის ყველა იმ დეკრეტებს, რომლებიც ეკონომიურ აღმშენებლობას ეხებიან. ეთმობა რა წარილ ბურჟუაზიულ ევროპის ინდივიდუალურ მოწრაფებებს და აღწევს რა ამით საერთოდ მეურნეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა მთავრობა ამავე დროს, ამრავლებს სახელმწიფოს საერთო რესურსებს და იმ ნიღა და სასურსათო ფონდს, რომელიც აღსრულებულია მრეწველობის აღსადგენად. წინ იგებება რა მუშათა პირად ინტერესებს, საბჭოთა მთავრობა ანავე დროს ისწრაფვის სამრეწველო პროდუქტების რაოდენობის გამრავლებისაკენ, რამაც ერთის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს ინდუსტრიის შეუდგომ განვითარებას და მეორის მხრივ სასოფლო მეურნეობის ინტენსიობის ზრდას, ე. ი. უნდა შექმნას ახალი წყარო მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მრეწველობის შემდგომი განვითარებისა. და ასე დაუსრულებლივ.

მაგრამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას კიდევ ახლავს ერთი ისეთი რამ, რაც განსაკუთრებით აღელვებს ზოგიერთ ამხანაგებს. მაქსიმალურ სამეურნეო შედეგების მიღწევის მიზნით, საბჭოთა მთავრობა წინ შეიგება არა მარტო გლეხების და მუშების პირად მისწრაფებებს, არამედ ზოგიერთ ბურჟუაზიულ ელემენტების პირად მისწრაფებებსაც. ამას ახლავს დეკრეტები იჯარის, თავისუფალ ვაჭრობის და სხვ. სწორედ ეს დათმობა, საბჭოთა მთავრობისა, მტრების მიერ „კაპიტალიზმის წინაშე კაპიტულაციად“ დასახული, აღშფოთებს და აძრწუნებს ზოგიერთ ამხანაგს. ისინი ამაში ხედავენ კომუნიზმის და საბჭოთა მთავრობის არსებობისათვის დიდ მუქარას.

ჩვენ იმას არ უარვყოფთ, რომ აქ, რასაკვირველია განსაზღვრული საფრთხე არის. კიდევ მეტი, თვით პრესაშიაც ეს არა ერთხელ აღინიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა ამ დათმობას აუცილებლობის გამო ახდენს. სხვა პირობებში კი, მაგალითად, რესურსების რაოდენობა და პროლეტარიატის ორგანიზაციული გამოცდილებანი რომ იძლეოდენ საშუალებას ამ კრიზისიდან საკუთარის ძალებით თავის დაღწევისა, მაშინ, ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა ბურჟუაზიულ მეურნეობის წინაშე არავითარ დათმობას არ მოახდენდა. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ყველა ჩვენს განკარგულებაში მყოფ წარმოებათა ასამუშავებლად საკმარისი არ არის მუშათა კლასის ძალა იმ რესურსების რაოდენობით, რომელიც მას აქვს. ეს დამტკიცებული არის სამი წლის პრაქტიკით და გამოცდილებით. მიტომ, საბჭოთა მთავრობას არჩევანი უნდა მოეხდინა. და ეს არჩევანი ბუნებრივად შეჩერდა მსხვილ წარმოებაზე.

რატომ? სრულიად უბრალო მიზეზით. ისტორიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილება გვარწმუნებს, რომ პოლიტიკურ ძალა-უფლებას მხოლოდ ის იპყრობს, ვისაც ხელში უჭირავს მთავარი ეკონომიური ბერკეტი. ყველა სახელმწიფოებში, ეგრედ-წოდებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი, სადაც არის ერთის მხრივ მრავალ-რიცხოვანი პროლეტარიატი და მეორეს მხრივ წვრილ—მესაკუთრეთა მრავალი ჯგუფები (გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია), სინამდვილეში, არსებითად პოლიტიკური ძალა-უფლება იკუთვნის მსხვილი ბურჟუაზიის მცირე ჯგუფებს, ბანკიორების და კაპიტალისტების (ტრესტების) ჰატარა კავშირებს, რომლებსაც ხელთ უპყრიათ და მართავენ ინდუსტრიის უმთავრეს დარგებს (რკინის გზებს, ნავთის სამრეწველოებს, ნახშირის მაღაროებს და მსხვილ ინდუსტრიას).

და რუსეთშიაც პროლეტარიატის დიქტატურა ემყარება არა იმაზე, რომ იგი თვის ძალა-უფლებას ავრცელებს წვრილ სახელოსნოებზე, საშინაო (კუსტარულ) ფაბრიკებზე და სხ. არამედ იმაზე, რომ მას თავის ხელში უჭირავს რკინის გზები, ქვეყნის ფინანსიური სისტემა (ახლო მომავალში იქნებ ბანკებიც), მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები და სხ. ვისაც სურს პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება, მან უპირველესად ყოვლისა უნდა უზრუნველჰყოს მისი ეკონომიური საფუძველი, ე. ი. სწორი გაძღოლა მსხვილ მრეწველობის მთავარი დარგებისა.

და საბჭოთა მთავრობის ახალი ეკონომიური პოლიტიკაც სწორედ ამისკენ ისწრაფვის. იგი ანთავისუფლებს პროლეტარიატს წვრილმან საზრუნავისაგან, იმისთვის, რომ მთელი თვისი ყურადღება, მთელი თვისი ძალები და რესურსები მსხვილი მრეწველობის თანდათანობითი აწევისაკენ და გაფართოვებისაკენ მიმართოს. ყოველივე დანარჩენი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მეშველ როლს ასრულებს. ყოველივე ის, რაც დახმარებას გაუწევს ამ ძირითად მიზანს, რასაც შეუძლიან მსხვილი მრეწველობისათვის ნედლი მასალის ახალი წყაროების, ინსტრუმენტების და სხვა საშუალებების მიცემა, ყოველივე ეს სასარგებლოა მუშათა კლასისათვის და ამაგრებს, ამტკიცებს მის დიქტატურას. ამ თვალსაზრისით, იჯარით გაცემა წვრილ და საშუალო წარმოებათა, რომლების ამუშავება სახელმწიფოს საშუალებებით არ შეიძლებოდა, ან თუ გინდა შეიძლებოდა, მხოლოდ წარმოების საშუალებათა არა ეკონომიურად ხარჯვით და მსხვილ მრეწველობის საზიანოდ, არის არამც თუ დასაშვები, არამედ სასურველი და აუცილებელი. და იმ პირობებში რომელშიაც საბჭოთა მთავრობის მიერ ტარდება ეს ზომა სხვა ანალოგიურ ზომებთან ერთად. იგი ხდება უვნებელი, მისი უარყოფითი მხარეები მცირდება ან ქრება, ხოლო დადებითი მხარეები კი მაქსიმუმამდე იზრდება.

და მართლაც, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალისტის პირადი ინტერესია გაბატონებული და მუშათა კლასის საერთო ინტერესები კი მას ეწირება მსხვერპლად. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალისტი წარმოების იარაღების სრული მესაკუთრეა და ამასთან ერთად (და სწორედ ამიტომ) იგი არის ბატონ-პატრონი სახელმწიფოსი, განმკარგულებული ყველა მისი საორგანიზაციო და რეპრესიულ ძალებისა, რომლებიც მიმართულნი არიან გაბატონებულ კაპიტალისტების კლასის სასარგებლოდ და მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

ასეთ საზოგადოებაში, კერძო მესაკუთრეთა ძალა-უფლებისა და ეკონომიური გავლენის ყოველგვარი გაფართოება პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ მიიმართება.

მაგრამ სულ სხვაგვარი საქმის ვითარება არის საბჭოთა სახელმწიფოში. აქ, წარმოების იარაღთა ბატონ-პატრონი, ფაბრიკების და ქარხნების (ბიჯარიანი გაცემულისაც) მესაკუთრე არის თვით პროლეტარული სახელმწიფო. აქ, პოლიტიკური ძალა-უფლება მუშათა კლასს უპყრია ხელთ და მთელი მისი მძლავრი და მძიმე აპარატი ყოველთვის ემსახურება პროლეტარიატის ინტერესებს და ყოველ ჟამს მიმართული იქნება ამ ინტერესების დაცვისაკენ, თუ კი მას რაიმე საფრთხე მოელის. საბჭოთა სახელმწიფოში ბურჟუაზიულ მფლობელობის უარყოფითი მხარეები არარაობამდე არის დაყვანილი. პირიქით, ის დადებითი მხარეები, რომლებიც მას აქვს და რომლებმაც თავის დროზე მარქსი აიძულეს ეცნო ის ისტორიული პროგრესიული როლი, რომელიც ერთ დროს ითამაშა ბურჟუაზიამ, ეს მხარეები გამოყენებულ იქნება არა საზოგადოებრივ ინტერესების საზიანოდ, არამედ მის სასარგებლოდ, არა მუშათა კლასის საზიანოდ, არამედ მის სასარგებლოდ. საბჭოთა სახელმწიფო, ისტორიაში პირველად აძლევს მუშათა კლასს შესაძლებლობას ბურჟუაზიის მიერ შექმნილ წარმოების საშუალებათა და ძალთა საკუთარ ინტერესებს, თვისი ძალა-უფლების და მისი ეკონომიური საფუძვლების გამაგრებისათვის გამოყენებისა.

ამასთან, იტოვებს რა თვის ხელში მთელ სახელმწიფოებრივ აპარატს, მუშათა კლასს შესაძლებლობა აქვს შესწყვიტოს ეს ცდა იმ შემთხვევაში, თუ იგი ბოლოს და ბოლოს გამოდგება არა მისი სასარგებლო, არამედ მავნებელი.

თუ ამხანაგები ჩაუფიქრდებიან ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ამ ძირითადს საფუძვლებს, ისინი უკუაგდებენ ყოველგვარ იქვებს, ყოველგვარ შიშს და შეიგნებენ, რომ საბჭოთა მთავრობა ამით შედგა სრულიად სწორ გზაზე, რომლითაც მაგრდება პროლეტარიატის პოლიტიკური დიქტატურა მისი ეკონომიური ბაზის განმტკიცების გზით".

შეკითხვები

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რესპუბლიკის როგორც ცენტრებში, ისე პერიფერიებში ნაჩქარევად დაიწყო ადგილობრივ ორგანოების ჩამოყალიბება, რომელთა ხელშიაც გადავიდა ხელისუფლების ფუნქციები და პროლეტარულ სახელმწიფოს ბედ-იღბლის მესვეურობის საქმე.

ეჭვი არ არის, ისეთ პირობებში სახელმწიფოებრივ აპარატის ჩამოყალიბება არ შეიძლებოდა მომხდარიყო ისე, რომ ყველა დარგში გამოცდილი და ღირსეული პირი მოქცეულიყო და დაწესებულებათა (პერიფერიებში უმთავრესად) რეორგანიზაცია არა ყოფილიყოს საჭირო.

რესპუბლიკის პროვინციებში სახელმწიფო დაწესებულებას ბევრმა შეაფარა თავი, რომელიც თავის მოღვაწეობას ხალხის საკეთილოდ კი არ ეწეოდა, არამედ მისი ინტერესების წინააღმდეგ.

პრაქტიკამ ბევრჯერ დაგვარწმუნა ზემონათქვამში და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს არა ერთხელ დასჭირვებია რეორგანიზაცია მოეხდინა ისეთი ადმინისტრატიული ორგანოებისა, რომელთა მესვეურებიც თავიანთის მოღვაწეობით ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ხალხის ინტერესებს, ისე ხელს უშლიდენ რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების კანონთა ცხოვრებაში სისწორით გატარებას—ზოგნი განზრახ, ზოგნიც დაუდევრობით.

უკვე საკმაო ხანი გავიდა იმისთვის, რომ ადგილობრივ ჩამოყალიბებული იყოს ყველა ორგანო და სახელმწიფოებრივი აპარატი საიმედო და პასუხისმგებელ პირთა ხელში მოექცეს.

ამ საქმეს, თქმა არ უნდა, შეუფერებლად დაგვირგვინებს ის კომისია, რომელიც ამ ჟამად უკვე მუშაობს

კომპარტიის განწმენდისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ამ კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ, ყველა ადგილობრივი ორგანო საიმედო მესვეურთა ხელში სათანადო სიმაღლეზე დადგება.

ვერასოდეს ცენტრში დაწყებული დიდი და სასარგებლო საქმე ხათანადო ნაყოფს ვერ მოიტანს, თუ მჭიდრო კავშირი და მახლობელი ურთიერთობა არ დამყარდა ცენტრსა და პერიფერიებს შორის. პროვინცია უნდა ითვლიდეს ცენტრის მაჯის ცემას და სისწორით უნდა უთანხმებდეს მას თავის საალმშენებლო მოღვაწეობას, რათა არ დაირღვეს სახელმწიფოებრივი შემოქმედების ჰარმონიის მთავარი ტონი. თავის მხრივ ცენტრიც, როგორც სარდალი, ფხიზლად უნდა აკვირდებოდეს თვალს— პერიფერიებში როგორ სრულდება ის კანონები, რომელიც რესპუბლიკის უმაღლესმა ხელისუფლებამ გამოსცა.

ასეთი მუშაობა გამოიღებს სასურველ ნაყოფს და მოისპობა ყოველნაირი გაუგებრობა, რომელსაც ხშირად ადგილი აქვს რესპუბლიკის ამა თუ იმ კუთხეში.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ხშირად რომელიმე ორგანო ჯეროვანად ვერ გაიგებს მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტს, და ამ დეკრეტის სისრულეში მოსაყვანად გადასდგავს ისეთ ნაბიჯს, რომელიც ამავე დეკრეტს ეწინააღმდეგება. აქ იწყება სწორედ გაუგებრობის კვანძი და ეს გარემოება ჰხდება მშრომელი ხალხის ინტერესების დარღვევის უნებურ მიზეზად.

ამიტომ ყოველ კანონისა და დადგენილების გაგებისათვის საჭიროა დიდი ყურადღება. ყველა ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელნი მუდმივ ურთიერთობაში უნდა იყვნენ ცენტრის იმ დაწესებულებებთან, რომლის საშუალებითაც ისინი იღებენ მთავრობის დადგენილებათა და დეკრეტებს და ყოველ შემთხვევაში, როდესაც დეკრეტის ესა თუ ის მუხლი რაიმე ბუნდოვანებასა და ორაზროვანებას გამოიწვევს, მათ უნდა მიმართონ შეკითხვით და საბოლოოდ ნათლად გამოარკვიონ კანონში ნაგულისხმევი საკითხი, ჩახწვდეს მის სიღრმეს, შესაფერად შეითვისონ იგი და შემდეგ შეუდგნენ მის ცხოვრებაში გატარებას.

სწორედ ამ მიზნით.

„მოამბეში" მოთავსებულ მთავრობის დადგენილებათა და დეკრეტების პოპულარიზაციისათვის ჩვენ მუდამ ვათავსებთ სათანადო განმარტებითი ხასიათის წერილებს, სადაც გაშუქებულია რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების უმაღლესი კანონები და გათვალისწინებულია ის მიზნები, რომელთა კანონახითაც გამოწვეულია ესა თუ ის საკანონმდებლო აქტი.

ასეთი განმარტებითი წერილებით რედაქცია ცდილობს გაუადვილოს ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებსა და მათ ხელმძღვანელთ შეითვისონ ესა თუ ის დეკრეტი, და გარკვეული შეხედულება იქონიონ მათი პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

გარდა ასეთი წერილებისა, ჟურნალს აქვს კითხვა-პასუხის განყოფილება, სადაც ადგილებიდან მიღებულ შეკითხვებზე დაინტერესებული ორგანოები დაიყონებლივ მიიღებენ განმარტებას, და ამ რიგად თავიდან აცილებული იქნება ის ბუნდოვანება და გაუგებრობა რომელიც ხელს შეუშლის მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში სისწორით გატარებას და შეაფერხებს სოც. რესპუბლიკის მტკიცე საკანონმდებლო აპარატის შექმნას.

კითხვა-პასუხი

ჩვენს რედაქციას მოუვიდა ორი შეკითხვა „მოამბეს" № 10-ში მოთავსებულ № 28 დეკრეტისა, რომელიც ეხება ქორწინებისა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წარმოების საკითხს. 1-ლი შეკითხვა ეკუთვნის თელავის მაზრის რევკომის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ქვე-განყოფილებას, ხოლო მე 2-რე შეკითხვა ქ. სამტრედიის ... ქვე განყოფილ(ებას. რედაქცია ჰბეჭდავს ... ხვას-პასუხით:

თელავის „ მ. მ. ა. ჩ. ... ქვეგანყოფილება გვეკითხება:

კითხვა

ზოგიერთი მღვდლები, თანახმად დეკრეტისა № 28, მ. § 74, (მოამბე № 10) თხოულობენ რეგისტრაციაში გატარებას ქორწინებაზედ. მათ სურვილებს, (ქვრივი მღვდლები) წინ ეღობება საეკლესიო მოვალობა. გთხოვთ განგვიმარტოთ, დეკრეტი № 28 მე § 74 ვრცელდება ადგილზედ მყოფ მღვდლებზედ თუ არა? ამასთანავე საჭიროა ცნობა, ადგილობრივ ეპარქიის მთავრობას შეუძლიანთ იხელმძღვანელონ თავიანთ ეკლესიის კანონებით, რომლის ძალით პასუხის გებაში ექცევა მეორეთ შეუღლებული მღვდელი, თუ მარტო დეკრეტი № 28 მე § 74. ვრცელდება მღვდლებზედ?

პასუხი

ქორწინებაში ყოფნა შეუძლიან ყველა მოქალაქეს მიუხედავად მის სოციალურ მდგომარეობისა. თანახმად № 28 დეკრეტის მე § 74 სასულიერო პირებს ნება აქვთ იქორწინონ მეორედ. როგორ შეხედავს ამ მდგომარეობას უმთავრესი სასულიერო მმართველობა, ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამწერ განყოფილებას. რასაკვირველია, ის სასულიერო პირები, რომელნიც მეორე ქორწინებაში შევლენ (მღვდლები და მთავარ დიაკონები) ან ბერ მოლოზნები თუნდაც პირველ ქორწინებაში იქნებიან გადაყენებულნი მღვდლობიდან მათი უმთავრესი მმართველობისაგან, რადგანაც საეკლესიო კანონით მღვდელი უნდა იყოს ქმარი ერთი ცოლისა და ბერმონოზნები ან ქვრივები, ან უცოლონი.

კითხვები:

1) ვალდებულია თუ არა მღვდელი, თუ მოქალაქე მსურველია, დაქორწინოს ეკლესიური წესით სამოქალაქო მდგომარეობის აღნ. ქვე-განყოფილების მიერ განქორწინებული.

2) აწარმოებს თუ არა ამ ჟამად სასულიერო წოდების პირი განქორწინების საქმეებს, ე. ი. ენახებათ თუ არა სასულიერო დაწესებულებას უფლება განქორწინებისა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანების შემდეგ.

პასუხი

1) საეკლესიო კანონებით ჯვრის წერა შეიძლება თვით პირისთვის სამჯერ.

თანახმად № 28 დეკრეტისა კანონიერ ქორწინებათ ითვლება მხოლოდ ის ქორწინება, რომელიც იქნება აღნუსხული მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამწერ განყოფილებაში. მარტო საეკლესიო წესით დაქორწინება არ ჩაითვლება კანონიერ ქორწინებად. სამღვდელოება ამ შემთხვევაში ასრულებს (თანახმად მოქალაქეთა სურვილისა) მხოლოდ საეკლესიო წესს და სხვა არაფერს. მათ არა აქვთ უფლება ჩაწერისა და მათ მიერ გაცემულ მოწმობებს არავითარი იურიდიული ძალა არა აქვთ. დასწერენ თუ არა სამღვდელო პირნი მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამწერ განყოფილების მიერ განქორწინებულთ მეორედ ჯვარს—ეს იმათი საქმეა და მ. მ. ა. ჩ. სულობით ეს შემთხვევა არ აინტერესებს. რასაკვირველია, სამღვდელოება კულტის შესრულების დროს ხელმძღვანელობს საეკლესიო კანონებით, რომლებსაც ვიმეორებთ, არავითარი იურიდიული შედეგი არ მოსდევს.

2) რასაკვირველია არა კანონიერ ქორწინებას და განქორწინებას ახდენს მხოლოდ მ. მ. ა. ჩამწერი განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მე-XVI-ე №-ში მოთავსებულ მასალებისა:

1) დეკრეტი № 67 საქ. რევ. კომიტეტისა სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ.

2) დადგენილება № 58 საქ. რევ. კომიტეტისა წითელი არმიელთა მიერ დატოვებული უვარგისი ცხენების შესახებ.

3) „ № 59 საქ. რევ. კომიტეტისა ვეტერინარ ექიმთა და ფერშალთა მობილიზაციის შესახებ.

4) „ № 60 საქ. რევ. კომიტეტისა მიწების თესვის ცენტრალურისა და სამაზრო კომისიათა მოქმედების განგრძობის შესახებ.

5) „ № 61 საქ. რევ. კომიტეტისა რესპუბლიკის ნავთ-სადგურებში შემოსულ-გასული ნავ-ჭურჭელთა დაბაჟვის შესახებ.

6) „ № 62 საქ. რევ. კომიტეტისა რესპუბლიკის ნავთ-სადგურების საშალებათა ქირით გაცემის შესახებ.

7) „ № 63 საქ. რევ. კომიტეტისა შრომის სახალხო კომისარიატისათვის სატეხნიკო ძალთა აღრიცხვა-განაწილების ბიუროს გადაცემის შესახებ

8) „ № 64 საქ. რევ. კომიტეტისა სამხედრო წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვის შესახებ.

9) „ № 65 საქ. რევ. კომიტეტისა რესპუბლიკის ნავთ-სადგურთა პაკჰაუზებისა, საწყობებისა და სხვა ხელსაწყოთა იჯარით გაცემის შესახებ

10) „ № 66 საქ. რევ. კომიტეტისა ნატურალურ გადასახადის აღსრულებლობისთვის „დმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ". გვ. 2—5.

11) გრძანება № 79 საქ. რევ. კომიტეტისა ამხ. რაჟდენ კალაძის იუსტიციის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და ამხ. გიორგი აპრესოვის ამავ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

12) „ № 80 საქ. რევ. კომიტეტისა ამხ. შ. გაბრიჩიძის რევკომის დიდნის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და ამავ თანამდებობაზე ამხ ალ. სალარიძის დანიშვნის შესახებ. გვ. 5.

13) დებულება საქ. ს. ს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოსი გვ. 5—13.

14) „ რევოლუციონერ ტრიბუნალებს შესახებ. გვ. 13—17.

15) „ საქ. რევ. კომიტეტისა მეცნიერების და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ. გვ. 17—18.

16) ცირკულიარი-წერილი ყველა სამაზრო რევკომებს. გვ. 18—19.

17) ცირკულიარი შინ. საქ. ს. ხ. კომისარიატისა ყველა მაზრის ქალაქის, ბათომის მხარის და სამხრეთ-ოსეთის რევკომებს. გვ. 19.

18) ნორმალური წესდება სასოფლო სამეურნეო მშრომელ-მწარმოებელ ამხანაგობისა. გვ. 19—21.

19) ინსტრუქცია მიწად მოქმედების სახ. კომისარიატთან განსაკუთრებულ კომისიის მოწყობის შესახებ თანახმად დეკრეტისა № 62, 1921 წ. ივლისის 27-ის თარიღით გვ. 21—22.

არა ოფიციალური განყოფილება.

20) კიდევ განმარტება გვ. 22—23.

21) სახალხო სასამართლოთა დაარსების გამო. გვ. 23—25.

22) ქალაქის და კომუნალურ მეურნეობის სტატისტიკაზე. 25—27.

23) ტფილისის მცხოვრებთა გამოკვების საკითხი. გვ. 27—31.

ნ. დ. ს. ც. ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. ტირაჟი—3000.